პროლეტარებო ყველა ეროვნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
შაბათი
18 აგვისტო
№ 192 (17537)
ფასი 2 კაპ.

თათბირ-სემინარი აბაშაში

სრულვყოთ და დავადგინოთ რაიონულ რგოლში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის ოპტიმალური ფორმები — ასეთია ექსპერიმენტის მიზანი.

ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო რუკაზე საქართველოს სსრ რესპუბლიკის აბაშის რაიონი საგანგებოდ არის გამოყოფილი: უკვე რამდენიმე წელია აქ წარმატებით ხორციელდება საკავშირო ექსპერიმენტი, რომლის მიზანია თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის მოთხოვნების შესაბამისად სრულყოს და დადგინოს რაიონულ რგოლში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის ოპტიმალური ფორმები.

აბაშის გამოცდილებამ ჯეროვანად სრულიად საკავშირო ყურადღება მიიპყრო, ამ გამოცდილებით დაინტერესდნენ მთელი ქვეყნის პრაქტიკოსები და მეცნიერები. სწორედ ამას მოწმობს აბაშაში 17 აგვისტოს გახსნილი თათბირ-სემინარი, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აწყობენ, სემინარი შეაჯამებს ექსპერიმენტის შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პერსპექტივისათვის. აბაშის შეხვედრა მით უფრო დიდ ინტერესს წარმოადგენს, რომ აქ ადგილობრივი გამოცდილება დაუკავშირდება სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მუშაკთა საქმიანობის შედეგებს, და ეს უდავოდ შეუწყობს ხელს სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის პროცესის დაჩქარებას, აამაღლებს ხაზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობას.

17 აგვისტოს დილიდანვე თათბირ-სემინარის მონაწილეებმა დაათვალიერეს რაიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, სავარგულები და პლენარულ სხდომაზე რომ მოვიდნენ, უკვე ჰქონდათ მიღებული უშუალო „შთაბეჭდილება ექსპერიმენტის შედეგებზე.

თათბირ-სემინარის პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ზ. ა. პატარიძე, ვ. რ. პაპუნიძე, შ. ს. სანაკოევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ნ. ი. გრიშაკოვი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ა. ი. ივენსენი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჰ. ხ. იბრაგიმოვი, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე შ. ა. რახმანზადე, ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ი. უპსი, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, თვალსაჩინო მეცნიერები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

თათბირ-სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ. მოხსენება „რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა. საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. დ. მგელაძემ შეკრებილთა გააცნო რაიონის სოფლის მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობისათვის რაიკომის მუშაობის გამოცდილება. პლენარულ სხდომებზე მოხსენებანი გააკეთეს აგრეთვე პროფესორმა, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა ვ. ი. ტერეშჩენკომ (უკრაინა), ვილიანდის რაიონის სასოფლო-სამეურნეო გაერთიანების თავმჯდომარემ ი. რ. რახულამ (ესტონეთი), ტალსის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ ვ. უ. კლეინბერგსმა (ლატვია).

დღეს თათბირ-სემინარი მუშაობას განაგრძობს. (საინფორმო)

აბაშური ექსპერიმენტი

აბაშის რაიონში ეწყობა ერთ-ერთი საკავშირო ექსპერიმენტი, რომლის მიზანია სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის ფორმების სრულყოფა თანამედროვე ეტაპზე ჩვენი პარტიის აგრარული პოლიტიკის მოთხოვნათა შესაბამისად.

უკანასკნელ ხანს დიდი ცვლილებები მოხდა რაიონის საზოგადოებრივ მეცხოველეობაში.

უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთლიანი წარმოება საშუალოდ 59,2 პროცენტით გაიზარდა. მნიშვნელოვნად იმატა სიმინდის, „ბოსტნეულის, რძისა და ხორცის წარმოებამ.

ეს ფოტოსურათები გადაღებულია აბაშის რაიონში. ზემოთ — ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მწველავი მწყემსები (მარცხნიდან) რ. შეფარიშვილი და ზ. თურქია; კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ვ. კუტალია (მარცხნივ) და გ. მიქაძე ბარდის ნათესებს ათვალიერებენ; ქვემოთ — სასილოსე სიმინდის მოსავლის აღება სოფელ ტყვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

დიდი პედსაბჭო

ყველაფერი ბავშვობიდან იწყება! და ყველაფრის თავიდათავია სწავლა, ცოდნის, კულტურის დაუფლება... ისწავლეთ, რათა იცოდეთ, ისწავლეთ, ისწავლეთ, რათა იღვაწოთ და იბრძოლოთ იმისათვის, რაც თქვენს გულსა და სულს გაახარებს, იზარდეთ ჯანსაღნი და ჯანმრთელნი. გაკაჟდით სპორტით, ლაშქრობებით, შრომით, იყავით გონიერნი, გულადნი, გულისხმიერნი, ჩადექით სახალხო საქმისათვის, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის მებრძოლთა რიგებში. დაიზარდეთნი ნამდვილ ადამიანებად.

დაიზარდეთნი ნამდვილ ადამიანებად! — თანამედროვეობის დიდი ლენინელის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ეს მამობრივი დარიგება, რომლითაც პიონერულ „არტეკში“ დამსვენებელ მსოფლიოს ბავშვებს შიმართა, აღზრდის მთელი პროგრამაა.

დაზარდონ ბავშვები ნამდვილ ადამიანებად, — ეს არის მიზანი, ოცნება, ამოცანა, საზრუნავი მშობლისაც, პედაგოგისაც, ყველასი, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი მომავალი.

როგორ ვიმუშაოთ და რა გზას დავადგეთ, რომ დავზარდოთ ბავშვები ნამდვილ ადამიანებად? — აი, ეს კითხვა იქნება უმთავრესი საგანი დიდი პედაგოგიური სჯა-ბაასისა, ამ თვის 28-28 რიცხვებში რომ გაიმართება მთელ საქართველოში.

დიდი პედსაბჭო ტრადიციულია ყოველი წლის აგვისტოსათვის. მაგრამ წლევანდელი განსაკუთრებულია — იგი ემთხვევა ბავშვის საერთაშორისო წელს, რომლის დევიზია „მშვიდობიან მსოფლიოში ბედნიერი ბავშვობისათვის“.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მსოფლიოს ყველა ბავშვებისადმი — პლანეტის იმედისა და მომავლისადმი მხურვალე მისალმების „მგზნებარე სიტყვებში საბჭოთა პედაგოგიკა, საბჭოთა სკოლა, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა უშრეტ წყაროს პოულობს აღმზრდელობითი მოღვაწეობისათვის. ჩვენი დიდი პედაგოგიური საბჭოს მუშაობის საძირკველი უნდა გახდეს ბრძნული, ცხოვრებისეული შეგონება: რას ნიშნავს დადგე ნამდვილი ადამიანი?

აქ ნაჩვენებია აღზრდის მაგისტრალური ხაზი — ვინ უნდა გავზარდოთ, როგორი ადამიანი, როგორი პიროვნება და მოქალაქე.

და სავსებით ბუნებრივია, რომ მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებისათვის დღის წესრიგის პირველ საკითხად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ რეკომენდებულია: იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფა სახალხო განათლების ორგანოებში „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე.

დღის წესრიგის ამ პირველ უმნიშვნელოვანეს საკითხზე მოხსენებებს გააკეთებენ პარტიის რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები.

გარკვეულია ის დიდი როლი, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ანიჭებს აღზრდის პრობლემას, კერძოდ. სწავლა-აღზრდის დონის შემდგომი ამაღლებისათვის მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებს — დიდ პედაგოგიურ საბჭოს. ეს გასაგებიც არის. ბოლო ექვსი წელიწადია რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის შეუნელებელი ზრუნვის ობიექტს წარმოადგენს ახალი ადამიანის, მისი მსოფლმხედველობის ფორმირება, კომუნიზმის მშენებლობაში მასების აქტიურობისა და შეგნების განუხრელი ამაღლება, მშრომელთა კომუნისტური აღზრდა. ჯერ კიდევ საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობის საპატიო ტრიბუნადან გაისმა, რომ მთელ სახალხო-აღმზრდელობითს მუშაობაში უფრო მეტად უნდა გამოიკვეთოს მოქალაქეობრივი, პატრიოტული და ინტერნაციონალისტური შეგნების განმტკიცებისათვის ზრუნვა, ადამიანზოგადოებრივი მოვლენებისადმი შეურიგებელი დამოკიდებულება. ჩვენს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი ცხოვრების ლენინური წორმებისა და პრინციპების დამკვიდრებისათვის აქტიური ბრძოლა.

როგორც ცნობილია, პარტიის XXV ყრილობამ გვიჩვენა აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობის გზა. ეს არის მთელი აღმზრდელობითი საქმიანობისადმი კომპლექსური მიდგომა, ესე იგი იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის მჭიდრო ერთიანობის უზრუნველყოფა. სწორედ ამ მოთხოვნათა თვალსაზრისით უნდა იმსჯელონ პედაგოგოებმა თათბირებზე.

სკოლამ უნდა ასწავლოს ბავშვს დღევანდელი ამოცანებისათვის პასუხისმგებლობა. მათი მისადაგება საერთო მიზნებთან, სინამდვილისადმი აქტიური დამოკიდებულება, ბოროტებისადმი, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენებისადმი შეურიგებლობა, ხურვილი და შეძლება, რომ თავადაც იკისროს პასუხისმგებლობა თუნდაც პატარა, მაგრამ საერთო საქმისათვის მნიშვნელოვან უბანზე.

პედაგოგის ხელში აღზრდის ძლავრი საშუალებაა დიდი ადამიანური გულთბილობით შექმნილი ნიადაგსახმარი წიგნები „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „ყამირი“ — მოგონებანი ნამდვილ ადამიანებზე.

ღრმად უნდა გაანალიზდეს მასწავლებელთა აგვისტოს თათბირების დღის წესრიგის მეორე საკითხი. 1978-79 სასწავლო წლის შედეგები და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი გაუმჯობესება. სად და როდის დაუშვიათ შეცდომა და უზუსტობა, რომ კვლავაც აღარ გავიმეოროთ იგი; სად არის კეთილი, ფასეული გამოცდილება; რით გამოიხატება მისი ღირსებანი, რომ სხვებმა აიტაცონ და მიბაძონ, რომ ყოველივე ღირებული განვაზოგადოთ და ყველასათვის მისაწვდომი, ყველას საკუთრება გავხადოთ, განსაკუთრებული მსჯელობის საგანი უნდა იყოს მოსწავლეთა შრომითი აღზრდა, მათი საზოგადოებრივი აქტიურობის მნიშვნელობა მომავლის მოქალაქის ჩამოყალიბებაში.

არც ერთი მეორეწლიანი, არც ერთი უდისციპლინო, არც ერთი უქნარა! — ამ დევიზის ერთგულია დედაქალაქის 98-ე საშუალო სკოლა. მისაბაძია ამ სკოლის გამოცდილება მოსწავლეთა შრომითი აღზრდის საქმეში. მხოლოდ საკუთარი ხელით! — ამბობენ მოსწავლეები, და საქმით ამართლებენ კიდეც სიტყვას. ბოლო წლების მანძილზე გორის რაიონის ძევერის საბჭოთა მეურნეობაში ყოველ ზაფხულს ნახავთ 80-90 მოსწავლისაგან შემდგარ შრომითს რაზმს, ბაღჩეხნახებში რომ დაფუსფუსებს, თოხნის, უვლის ბოსტანს, აგროვებს პირუტყვის საკვებს, კრეფს ხილს და დიდად უწყობს ხელს მშობლიურ მეურნეობას. ვალში არ რჩება მოსწავლეებს საბჭოთა მეურნეობაც. მან თავის ტერიტორიაზე მდებარე სკოლის მოსწავლეებს ისეთი პირობები შეუქმნა, რომ პირველი სექტემბრიდან უფასოდ იკვებონ სკოლაში, რისთვისაც ერთ მოსწავლეზე გაიღებს 90-100 მანეთს. სულ 460 მოსწავლისათვის — 41-46 ათას მანეთს. მეურნეობა პირველკლასელებს შემოსავს სასკოლო ფორმით, იგი სახელმძღვანელოებსა და სასწავლო ნივთებსაც უფასოდ გასცემს.

ბავშვებისათვის ესოდენ საყოველთაო ზრუნვა შესაძლებელი გახდა რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის შეუპოვარი ბრძოლის ატმოსფეროში. ამას ადასტურებს სასკოლო და სკოლამდელ დაწესებულებათა გამალებული მშენებლობა. ჩვენი გაზეთის თითქმის ყოველ ნომერში ჭვეყნდება ამ მშენებლობათა ავ-კარგი. მრავალი დაუბეჭდავი წერილია გადაგზავნილი ადგილებზე სასკოლო მშენებლობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

წლეულს მარტო თბილისში საპირველსექტემბროდ ხუთი ახალი სკოლის ზარი აწკრიალდება, საექსპლოატაციოდ გადაეცემა ერთი პროფტექნიკური სასწავლებლის ახალი შენობა, რესპუბლიკაში — 60-მდე სკოლის ახალი შენობა, 6 სასკოლო ინტერნატი, 23 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება! — აი არასრული ნუსხა შენობებისა, რომელსაც უდიდესი სიხარული მოაქვს.

დაე, იცოდნენ ჩვენმა მოსწავლეებმა, რომ მათთვის პარტიისა და მთავრობის, სახელმწიფოს, ხალხის ამ დიდი ზრუნვის უკუგება უნდა იყოს ბეჯითი სწავლა, ცოდნისა და შრომის უნარ-ჩვევების შეძენა, პატიოსნება, გულმართლობა, სამშობლოს უანგარო სამსახურისათვის მზადყოფნა, პატრიოტიზმი, ინტერნაციონალისტური შეგნება, ესე იგი ყველა ის თვისება, რომელიც მომავლის ადამიანს უნდა ამკობდეს, კომუნიზმის მშენებელს ახასიათებდეს.

აი, ასეთი მოქალაქის, ასეთი ადამიანის აღზრდის გზებსა და საშუალებებს, ნაცად პედაგოგიურ ხერხებსა და მეთოდებს შეიმუშავებენ ჩვენი დიდი პედაგოგიური თათბირები, პარტიული ორგანიზაციებისა და საბჭოების ხელმძღვანელობით და მხარდაჭერით, სახალხო განათლების ორგანოებისა და კომკავშირის ჩვეული აქტიური მონაწილეობით რომ გაიმართება.

გვწამს, რომ მასწავლებელთა აგვისტოს თათბირების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარება, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის თვისებრივი გაუმჯობესების ღონისძიებანი ხორცს შეასხამს კომუნისტური პარტიის იდეებს იმის შესახებ, რომ ბავშვები და ახალგაზრდობა აღვზარდოთ თანამედროვე ეპოქის ღირსეულ ადამიანებად, მტკიცე პატრიოტებად და ინტერნაციონალისტებად, რომლებიც სრულყოფილად იქნებიან დაუფლებული მეცნიერების საფუძვლებსა და შრომის ჩვევებს.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის გ. ჰუსაკის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე. ჰონეკერის, რუმინეთის კომპარტიის გენერალური მდივნის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ნ. ჩაუშესკუს, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. გერეკის, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ტ. ჟივკოვის, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ცედენბალის ყირიმის შეხვედრებისა და საუბრების შედეგები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი დიდად აფასებს და მთლიანად იწონებს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საქმიანობას. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ე. კადართან ლ. ი. ბრეჟნევის მოლაპარაკებასთან ერთად, რომელიც გაიმართა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ამსაწინანდელი ვიზიტის დროს, ყირიმის 1979 წლის შეხვედრები და საუბრები დიდმნიშვნელოვანი ეტაპია როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო ამოცანების გადაწყვეტაში მომმე ქვეყნების ურთიერთმოქმედების შემდგომი განმტკიცების გზაზე.

გამართული შეხვედრების განსაკუთრებული მნიშვნელობა ის არის, რომ მათი ყურადღების ცენტრში იყო პერსპექტიული საკითხები, რომლებსაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ სახელმწიფოთა გრძელვადიანი თანამშრომლობისათვის. ეს მით უმეტეს მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიოს სოციალისტური ნაწილის კომუნისტურ და მუშათა პარტიებს ეწყობათ ყრილობისწინა პერიოდი, როცა დაისახება მორიგი დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტები ახალი საზოგადოების მშენებლობისათვის მუშაობაში.

ყირიმის 1979 წლის შეხვედრები მოწმობენ, რომ სოციალისტური ქვეყნები გულდაჯერებით მდიან წინ სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების გზით. მათი მიღწევები განსაკუთრებით კონტრასტულია კაპიტალისტურ სამყაროში შექმნილ მდგომარეობის ფონზე, რომელსაც ახასიათებს კრიზისული მოვლენების შემდგომი ზრდა.

ამავე დროს სოციალისტური ქვეყნები ითვალისწინებენ, რომ მსოფლიო ეკონომიკური კონიუნქტურის გართულება მათ გარკვეულ პრობლემებს უქმნის, კერძოდ, ეს ეხება ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მოხმარების მიღწეული მაღალი დონის შენარჩუნებას, ენერგეტიკულ სიმძლავრეთა განუხრელი ზრდის უზრუნველყოფას.

ენერგეტიკის პრობლემების გადასაწყვეტად ღონისძიებათა გაერთიანებით, რის მაგალითებია მძლავრი გაზსადენის „სოიუზის“ ერთობლივი მშენებლობა, ატომური ელექტროსადგურების მშენებლობის ვრცელი პროგრამა, ენერგიის ახალი წყაროების ათვისებისათვის ინტენსიური მუშაობა, ტრადიციული რესურსების გამოყენების დროს ყველაზე პროგრესული ტექნოლოგიის გამოყენებაზე ორიენტაცია, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები ქმნიან მყარ ბაზას, რათა კიდევ უფრო განავითარონ თავიანთი სახალხო მეურნეობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მომმე ქვეყნები მტკიცედ ადგანან სოციალისტური ეკონომიკების კოოპერაციისა და სპეციალიზაციის განვითარებაგაღრმავების კურსს, რაც აისახა კიდეც ყირიმის შეხვედრების შედეგებში. ეს კურსი საიმედოდ უწყობს ხელს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მწვერვალების დაუფლებას, წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას სოციალისტური ქვეყნების ხალხთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ინტერესებისათვის.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს მიერ მოწონებული თანამშრომლობის გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამები, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების გრძელვადიანი განვითარების შესახებ ორმხრივ დოკუმენტებზე მუშაობის მოახლოვებული დამთავრება სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მომმე ქვეყნებთან თანამშრომლობაში მოწაფლე საბჭოთა კავშირის ყველა სამინისტროსა და უწყების უსახავს დიდი ეროვნული და ინტერნაციონალური მნიშვნელობის ახალ პასუხსაგებ ამოცანებს. მათი თანამიმდევრული განხორციელება მომავალი მეთერთმეტე ხუთწლიდის ორგანული ნაწილი გახდება.

ყირიმის 1979 წლის შეხვედრებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს, რომ მომმე სოციალისტური სახელმწიფოები ურყევად იცავენ მშვიდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის პოლიტიკას. გამალებული შეიარაღების ალაგმვისა და შეკვეცის თანამიმდევრული ხაზი, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაზე, პოლიტიკური დაძაბულობის შენელების სამხედრო დაძაბულობის შენელებით შევსებაზე, მკაფიო ორიენტაცია, ხალხთა თავისუფალი დამოუკიდებელი განვითარების უფლებათა მხარდაჭერა — ასეთია სოციალისტური საგარეო პოლიტიკის აქტუალური მიმართულებანი, რომლებმაც მნიშვნელოვანი დადასტურება მიიღო ყირიმის შეხვედრების დროს.

თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების საკითხთა საკითხია გამალებული შეიარაღების შეზღუდვა და შეწყვეტა. სოციალისტური ქვეყნების რწმენით სწორედ ამ მიმართულებით გადადგმული დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ახალი ხელშეკრულების ხელმოწერა. ეს ხელშეკრულება დამაჯერებლად მოწმობს, რომ, თუ იქნება კეთილი ნება, სავსებით შესაძლებელია გამოიძებნოს ურთიერთმისაღები გადაწყვეტანი უაღრესად რთულ პრობლემებზე, რომლებიც უშუალოდ ეხება სახელმწიფოთა უშიშროებას.

სამხედრო დაძაბულობის შენელების საქმეში პროგრესი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში უზრუნველყოთ, თუ ამ მიზნისაკენ იქნის ყველა მხარე. ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ ვენის მოლაპარაკებაზე, განიარაღების კომიტეტში, გამალებული შეიარაღების ალაგმვის ამოცანისადმი მიძღვნილ სხვა მოლაპარაკებებზე, სოციალისტური ქვეყნები მტკიცედ ეძებენ კონსტრუქციულ გადაწყვეტებს და დასავლეთის ქვეყნებს მოუწოდებენ საპასუხო ღონისძიებებისათვის. რა თქმა უნდა, არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს რაიმე გონივრული გამართლება ნატოს გარკვეული წრეების მისწრაფებას, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ტერიტორიებზე დაახავონ ახალ-ახალი იარაღი, მათ შორის საზარელი დამღუპველი მოქმედების იარაღი. ევროპაში სამხედრო წონასწორობა რეალობაა. და სავსებით შესაძლებელია თანდათანობით შევამციროთ ერთმანეთისადმი დაპირისპირებული დაჯგუფებების შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების დონე.

ჰელსინკში მიღებული საბოლოო აქტის დებულებათა სრული მოცულობით თანმიმდევრული რეალიზაცია, — ამას კი მხარს უჭერს ყველა. მომმე სოციალისტური ქვეყანა, — საიმედოდ შეუწყობდა ხელს იმას, რომ ევროპა გადაიქცეს მტკიცე მშვიდობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის კონტინენტად.

საბჭოთა კავშირი ვარშავის ხელშეკრულების სხვა წევრებთან ერთად მტკიცედ მოითხოვს გაფართოვდეს ევროპაში ურთიერთნდობის განმტკიცების ღონისძიებანი, შესუსტდეს სოციალისტური და კაპიტალისტური სახელმწიფოების სამხედრო კონფრონტაცია. ამ მიზნით ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის მონაწილეობით სრულიად ევროპის თათბირის მოწვევა, რის წინადადებაც ვარშავის ხელშეკრულების მონაწილეებმა წამოაყენეს, მომავალი მადრიდის შეხვედრის წარმატებული ჩატარება, არსებითად გავლენას მოახდენდა ევროპასა და მთელ მსოფლიოს პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებაზე.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს პრინციპულად დიდმნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ ყირიმის შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა ყველაზე განმტკიცდეს სოციალისტური სახელმწიფოების ინტერნაციონალისტური სოლიდარობა ყველა ხალხთან, რომლებიც იმპერიალისტური და ჰეგემონისტური ზეგავლენის ობიექტი გახდნენ. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, თუ რაოდენ სამაშია პეკინის ექსპანსიონისტური პოლიტიკის განგრძობა, და ყველა დადასტურდა საბჭოთა კავშირის სოლიდარობა ვიეტნამთან, ლაოსთან და კამბუჩიასთან. თითოეული ხალხის უფლება, რომ იყოს თავისი ბედის ბატონ-პატრონი, წმიდათაწმიდაა და მას ყველამ პატივი უნდა სცეს.

საბჭოთა კავშირი იზიარებს და მხარს უჭერს მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მიერ ქვეყ. კონფერენციის მშვიდობისმოყვარეულ, ანტიიმპერიალისტურ, ანტიკოლონიალისტურ მიზნებს, კონფერენციისა, რომელიც ამა წლის სექტემბერში ჰავანაში გაიხსნება.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს დაავალა განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი იმ ამოცანების რეალიზაციისათვის, რომლებიც გამომდინარეობენ მომმე პარტიებისა და ქვეყნების ხელმძღვანელებთან ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საუბრებიდან.

საკლესიო ცნობა

დედამიწაზე დასაგრუნეგლად

ფრუნზის მარშვის ცენტრი, 17 აგვისტო. (საკოსი). 173-ე დღე-ღამეა, რაც ვლადიმერ ლიახოვი და ვალერი რიუმინი კოსმოსში არიან. დაგეგმილი პროგრამის შესაბამისად კოსმონავტები ამთავრებენ მუშაობას სადგურში და ემზადებიან დედამიწაზე დასაბრუნებლად. ეკიპაჟი შესრულებული კვლევისა და ექსპერიმენტების მასალებს ალაგებს „სოიუზ-34“ ხომალდის დასაშვებ აპარატში, აკოსნერვებს სადგურის სამეცნიერო აპარატურას.

დღის განრიგით გათვალისწინებულია აგრეთვე კოსმონავტთა სამედიცინო შემოწმება ჰიდროსტატიკური წნევის მოქმედების იმიტაციაზე გულ-სისხლძარღვთა სისტემის რეაქციის გამოკვლევის მიზნით. ამ დროს იყენებენ „ჩიბისის“ ვაკუუმის კოსტიუმს და მრავალფუნქციურ მარეგისტრირებელ „პოლინომ-23“ აპარატურას.

გუშინ „სოიუზ-34“ ხომალდის ძრავის დანადგარის დახმარებით მოეწყო „სალუტ-6“-„სოიუზ-34“ პილოტირებული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის მოძრაობის ტრაექტორიის კორექცია. კომპლექსის ორბიტის პარამეტრები ამჟამად ასეთია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 411 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 386 კილომეტრი;

— გარშემოვლის პერიოდი — 92, 28 წუთი;

— დახრილობა — 51,6 გრადუსი.

ეკიპაჟის მოხსენებებითა და ტელემეტრიული გზაბმვის მონაცემებით, სადგურისა და ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

კოსმონავტები ვლადიმერ ლიახოვი და ვალერი რიუმინი თავს კარგად გრძნობენ.

შემართება...

იმის შესახებ, თუ როგორ აღუდგენენ მოძალებულ გვალვას წითელწყაროელი მეშროველები

ზემო მაჩხაანში ღრმად მოხუცებიც კი ამბობენ — ასეთ გვალვას არ მოვსწრებივართო. ამას ისინი ამბობენ, რომლებისთვისაც გვალვა უცხო არ ყოფილა და ბავშვობიდან ესმოდათ: „მაჩხაანზე ავიარე, წყალი იყო მეტად ძვირია...“

წითელწყაროელთა 8 ათასი ჰექტარი ვენახიდან ჯერჯერობით ერთი ნაწილი ირწყვება. ორი წყალსაცავიდან იყენებენ „ყუშისხევს“, სატუმბი სადგურებით წყალი ამოაქვთ ალაზნიდან.

გვალვაა. უჭირს რაიონს, მაგრამ ყველაფერს ღონობენ, რომ წლის მოსავალი არ დაიკარგოს.

ე. ყარაულაშვილი (საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის მეორე მდივანი): გვეჭირს საკვების დამზადება, ძირითადობამდე გავეჭერით ყანები. ველები გადატრუსულია, ვთიბავდით თითოეულ ბალჯაზ ბალახს. ლაქაშებიც კი გავთიბეთ, ჩინებული თაოსნობა წამოწყეს კოლეგებმა. ისინი აკეთებენ ფოთოლს პირუტყვის საკვებ ფქვილად ამზადებენ. მზესუმზირის ნარჩენებსაც კი ვიყენებთ სახილოსედ.

3. ფიროსმანაშვილი (რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი): განსაკუთრებით გაუჭირდა ვენახს, ვრწყავთ სატუმბი სადგურებით. ურწყავში ვაზისთვის კულტივაცია არ მოგვიკლია, ვინაიდან გაფხვიერებული მიწა ტენს კარგად ინახავს. სპეციალისტები ამბობენ: სამი კულტივაცია ერთხელ მორწყვას უდრისო. მეზვრეებიც დღედაღამ ვენახში ტრიალებენ.

ენამთიდან მინდორ მილარზე რომ გადაიხედოთ, გული გაგინათლდებათ. ხომ გადახრულიყოს მინდვრები, მაგრამ წითელწყაროელთა ვენახები მუქ-მწვანედ ხასხასებს.

რთველია ენამთასა და მილარზე. ჩვეულებრივზე ერთი თვით ადრე დაიწყო ყურძნის კრეფა. დიდმა სიცხეებმა ყურძენი ნაადრევად დააშაქრინა. რთველის დაგეგმილებით საქმე გაფუჭდებოდა: გამოშრებოდა ყურძენი. გამოცდილმა ჯაფარიძელებმა, ზემოქედელებმა, არხილოსკალოელებმა, ქვემოქედელებმა და ხაბათლოელებმა უკვე დაიწყეს ყურძნის კრეფა.

გუშინწინ 46 ტონა ყურძენი დაკრიფეს ჯაფარიძელებმა, გუშინ — 50, დღეს — უკვე მეტს ვარაუდობენ.

ჯაფარიძელები იპატოვოლთა მეთოდს თითქოს რთველშიც იყენებენ: ყველა ბრიგადა ერთად კრეფს შემოსულ ყურძენს. თანაც რწყავენ ვენახებს ჯაფარიძელები. რწყვაში, როგორც იტყვიან, ხელფეხდაკაპიწებულნი მუშაობდნენ ფ.

უნარიც და საქმის სიყვარულიც

ხშირად, ძალიან ხშირად ასე ხდება: საქმეურნეო დარგის სპეციალისტის, ხელმძღვანელის მუშაობის განსასჯელად უმეტესად მის საქმიან თვისებებს ვაანალიზებთ ხოლმე, უფრო ზუსტად, საქმეურნეო მაჩვენებლებს — გეგმების და ვალდებულებების შესრულების პროცენტებს. რა დასამალია და, ზოგჯერ ციფრობრივი მაჩვენებლებისათვის პრიორიტეტის მინიჭება სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან ასპექტებს ჩრდილში აყენებს.

როცა ხელმძღვანელების, საგანგებო დარგების მუშაობას ვიფასებთ, უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ არა მარტო საწარმოო გეგმების შესრულების მაჩვენებლები, არამედ, აგრეთვე, კოლექტივის დისციპლინის დონე, მორალურ-პოლიტიკური კლიმატი, შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები“, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. დიახ, ადამიანის პირადი დამსახურება საზოგადოების წინაშე, ავტორიტეტი, იმ კოლექტივის აზრი, სადაც იგი მუშაობდა, — ყველაფერი ეს უდიდესი სიფრთხილით უნდა აიწონოს, როცა რომელიმე მუშაკის დაწინაურებაზე ვფიქრობთ. განსაკუთრებით კარგად უნდა შევისწავლოთ ახალგაზრდა კადრების მონაცემები.

სწორედ რომ ყოველგვარი შესწავლის შემდეგ დავაწინაურეთ ახალგაზრდები ისეთ ხელმძღვანელ პოსტებზე, როგორიც არის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე, სარემონტო-სამშენებლო კანტორის უფროსი, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის დირექტორი, „საქკოლმშენის“ საბჭოს თავმჯდომარე, ყაზბეგის ელქსელების კანტორის დირექტორი. ისინიც — გ. ფიცხელაური, ა. ფაჯიშვილი, მ. ფიცხელაური, შ. ჩქარეული, მ. შიოლაშვილი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ დაკისრებულ საქმეს, კარგად აუღეს ალღო დროის მოთხოვნებს. ჩვენ გვწამს, რომ ისინი თანდათან სრულყოფენ მართვის, ხელმძღვანელობის პრინციპებსა და მეთოდებს.

როგორც მთელი პარტიული მუშაობის, ისე საკადრო პოლიტიკის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე დაყენებისათვის პარტიის რაიონული კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ქმედითად იყენებენ მთავარს ორგანიზატორული მუშაობის წარმართვაში — მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას.

კონტროლისა და შესრულების შემოწმებისათვის იყენებთ ისეთ ფორმებსა და მეთოდებს, როგორიც არის სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ანგარიშების მოსმენა, მშრომელთა განცხადებებსა და წერილებზე სათანადო რეაგირება, მათი დროული განხილვა-შემოწმება, სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, პრესაში გამოქვეყნებული მასალები, ადგილებზე საქმის მდგომარეობის შესწავლა და პრაქტიკულად დახმარების აღმოჩენა. მარშან შემოვიღეთ ინფორმაციის დღე, სადაც წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელები გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშით გამოდიან რაიონის პარტიული და სამეურნეო აქტივის წინაშე.

მაგრამ ამ მუშაობის მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ვერ მუშაობენ ზოგიერთი წარმოება-დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელები. შეშფოთებას იწვევს რაიონის აღმინისტრაციული ორგანიზაციების სუსტი მუშაობა, წლობით დევს გაუხსნელი საქმეები, ხშირია სასამართლოს მიერ ლმობიერი განაჩენის გამოტანის შემთხვევები, სუსტია საპროკურორო ზედამხედველობა.

აი ზოგიერთი კონკრეტული მაგალითიც: როგორც შემოწმებით გამოირკვა, სხოს ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მეტად დაბალ დონეზე იდგა შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა, კოლმეურნეობის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში იყო მთელი რიგი სერიოზული დარღვევები; აღრიცხვის დარგის სპეციალისტები და ანგარიშვალდებული პირები უპასუხისმგებლოდ კეიდებოდნენ სამეურნეო ოპერაციების პირველადი საბუთების სრულყოფილად შედგენას და დანიშნულების ადგილზე დროულად არ წარადგენდნენ ხოლმე. თითქმის არ ტარდებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდის, მისი თვითღირებულების შემცირებისა და რენტაბელობის დონის ამაღლების ღონისძიებები. იყო საკოლმეურნეო ქონების მითვისებისა და განიავების ფაქტებიც.

პარტიის ყაზბეგის რაიკომის ბიუროს განიხილა ამ კოლმეურნეობაში შექმნილი ვითარება და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსწორებისათვის. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ს. გელაშვილი, უფროსი ბუღალტერი ვ. ღუდუშაური, ზოოტექნიკოსი ა. ფირანიშვილი, ფერმების გამგეები პ. ჩაბაიძე და მ. პაპიაშვილი გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან და დაედოთ მკაცრი პარტიული სასჯელები.

ასევე მკაცრად დაისაჯა კობის სასოფლო საბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე ხ. ტუაევი, რომელიც როდი იქცეოდა ისე, როგორც მოეთხოვება კომუნისტსა და, მით უმეტეს, ხელმძღვანელ მუშაკს. დადგინდა, რომ იგი მოქალაქეთა პირუტყვის გაწყვეტის დროს ყალბად აფორმებდა სალიკვიდაციო აქტებს, სისტემატურად ლოთობდა და უხეშად ეპყრობოდა მოქალაქეებს; სასოფლო საბჭოს სესიებისა და აღმასკომის სხდომების ჩატარების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები ჰქონდა. დეპუტატები არ მონაწილეობდნენ საბჭოს მუშაობაში, ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების აღრიცხვასა და მათზე რეაგირებას; სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არსებულ წარმოება-დაწესებულებებში სათანადო სიმაღლეზე არ იდგა შრომის დისციპლინა და შრომის ორგანიზაცია. სერიოზული ნაკლოვანებები იყო მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების სფეროში.

დღეს ასეთი მუშაობა არავის არ ეპატიება და ჩვენ მიერ დადებული სასჯელი თუმც მკაცრი, მაგრამ სამართლიანი იყო. საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო პარტიის რაიონულმა კომიტეტმა გათავისუფლა თანამდებობიდან აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის დირექტორი ს. ჯიჯაშვილი, გაერთიანება „საქკოლმშენის“ საბჭოს უფროსი ვ. ჩოფიკაშვილი, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი ნ. ყამარაული, სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ვ. ფაჯიშვილი.

ვიცით, რომ დასჯა თვითმიზანი არ არის. მთავარია მათი სწავლება და აღზრდა. ვხრუნავდეთ კადრებისათვის — ეს ნიშნავს ვხრუნავდეთ მშობლიური კუთხის აყვავებისა და მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის. ყველამ ისწავლოს მინდობილი საქმის უნარიანი, გერგილიანი გაძღოლა — აი დღევანდელობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა. ამ თვალსაზრისით სწავლა-აღზრდა და მომზადება ესაჭიროება ყოველი დარგის მუშაკსა და სპეციალისტს.

ვ. ჩქარეული,

საქართველოს კომპარტიის ყაზბეგის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე.

მოსაზრებები, წინადადებები

ეკონომიკა

კარგი იქნება, თუ ყველგან — ბუღალტერ-ბუღალტერ — ბუღალტერ ხელმძღვანელთა გარკვეული გამოცდილი ვადით დანიშვნის პრაქტიკა. ეს საშუალებას მოგვცემს ადგილობრივ ბალანსებზე ადგილობრივ ბუღალტერ-ეკონომისტებს, ფლობს თუ არა ხელმძღვანელობის საკმაოდ რთულ ხელოვნებას, შესწევს თუ არა უნარი დარაზმოს მასები და წარმატებით უხელმძღვანელოს მათ, სახალხო მეურნეობის გადამწყვეტი უბნებისაკენ წარმართოს ამათი ძალ-ღონე და ენთუზიაზმი. და თუ კი იგი გამოავლენდა ყველა ამ თვისებას, მხოლოდ მაშინ დაგვენიშნა ხელმძღვანელ პოსტზე.

ბ. ხუციშვილი,

კასპის რაიონის ოკომის საბჭოთა მეურნეობის აგროგანყოფილების უფროსი.

● ●

დაკვირვებული ვარ, თითქმის ყველგან და მუდამ ასე ხდება: მიუხედავად იმისა, მოდის თუ არა მოსავალი, სრულდება თუ არა პირუტყვის პროდუქტიულობის გეგმა, საზოგადოებრივ მეურნეობათა სპეციალისტები — ბრიგადირები, ფერმების გამგეები, უბნების მმართველები ხელფასს ერთნაირად იღებენ. ეს, ჩემი აზრით, სწორი არ არის, რადგან ასეთი, თუ შეიძლება ითქვას, განუკითხაობა აქვეითებს ზოგიერთი ხელმძღვანელის პასუხისმგებლობას საერთო საქმისათვის. ამიტომ კარგი იქნება, თუ მათი დიფერენციერებული ხელფასი — საშუალო, მაღალი და დაბალი, გეგმების შესრულების შემთხვევაში მუშაკებს მიეცეთ საშუალო ხელფასი, გადაჭარბებით შესრულებისათვის — მაღალი, შეუსრულებლობისათვის კი დაბალი ხელფასი.

ი. ზაზაშვილი,

პენსიონერი.

ლენინურ ადგილებში

მატარებელი სვლას უკლებს. დიქტორი აცხადებს:

— ქალაქი ულიანოვსკი.

ულიანოვსკი!

ვინ არ აპყრობს მას თავის მზერას და გულს! ვინ არ იგონებს ამ ქალაქს მადლობის გრძნობით! ამ ქალაქს, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სამშობლოს, მთელი მსოფლიო იცნობს.

ულიანოვსკის დიდება და სიამაყეა ბელადის ბავშვობასა და ყრმობასთან დაკავშირებული სამახსოვრო ისტორიული ადგილები.

დიდი ბელადის ცოცხალი სახე ჩაუქრობლად ბრწყინავს კაცობრიობის ისტორიაში და გმირობისათვის მოგვიწოდებს. ლენინი ჩვენი დროშაა, ჩვენი ძალა და უკვდავებაა.

აი რატომ აქვთ ულიანოვსკის ლენინურ ადგილებს უდიდესი აღმზრდელობითი ზემოქმედება. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სკოლას, სადაც ვლადიმერ ულიანოვი სწავლობდა.

თეთრი ორსართულიანი შენობა გარშემორტყმულია ძველი ალვის ხეებით. შენობის ფასადზე გაკრულია მემორიალური დაფა, რომელზეც წარწერილია: „აქ სწავლობდა ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვი — ლენინი 1879-1887 წლებში“.

ყოველწლიურად სკოლაში ათასობით ადამიანი მოდის, ისინი დიდი მღელვარებით გადაბიჯებენ ხოლმე სკოლის კარის ზღურბლს, რათა ნახონ კლასი, რომელშიც ვალოდია ულიანოვი სწავლობდა, შეხედონ მერხს, რომელზეც იგი იჯდა, მოისმინონ ვლადიმერ ულიანოვის გიმნაზიაში გატარებული წლების ისტორია. ჩვენი მუზეუმის ექსპოზიციას ამშვენებს ამ მერხის ასლი, რომელიც დაამზადა და მუზეუმს საჩუქრად უძღვნა თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკამ. მერხთან ეწყობა საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატების, ოქროს მედლების გადაცემა.

პირველ სექტემბერს აწკრიალდება პირველი ზარის ხმა და პატარები მიდიან თავის პირველ გაკვეთილზე კლას-მუზეუმში. ამ კლასის მერხებს შემოუსხდებიან ისინი, ვინც პირველად მივიდა პირველ კლასში.

ვლადიმერ ილიას ძის ახლობლები იგონებენ, რომ იგი ადრეული წლებიდანვე დღეს ატარებდა განრიგით, რომელიც მის მიერ იყო შედგენილი, და მკაცრად იცავდა მას. გაკვეთილებზე უაღრესად ყურადღებიანი იყო.

გიმნაზიის უკანასკნელ კლასებში ვლადიმერ ილიას ძე სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენდა ეკონომიკური და საზოგადოებრივი საკითხებისადმი. გამოსაშვებ გამოცდამდე მერვე კლასელებს მიეცათ თხზულება თემაზე: „სახალხო ცხოვრების კეთილდღეობის მიზეზები“. ვლადიმერ ილიას ძეს არ შეეძლო არ აღენიშნა მშრომელი კაცის მდგომარეობა. თხზულებას რომ უბრუნებდა, გიმნაზიის დირექტორმა უთხრა: „ეს რომელ ჩაგრულ კლასებზე წერთ აქ, რა შუაშია ეს აქ?“

საკლასო ოთახის გვერდით საპატრო დარბაზია. აქ 1887 წლის 5 მაისიდან 6 ივნისამდე გამოცდებს აბარებდა და სიმწიფის ატესტატი მიიღო ვლადიმერ ულიანოვმა. დღესაც პირველ გამოცდას ამ დარბაზში აბარებენ გამოსაშვები კლასის მოსწავლეები. აქვე იღებენ ისინი სიმწიფის ატესტატებს, ხოლო საუკეთესოთა შორის საუკეთესონი — ოქროს და ვერცხლის მედლებს. აქ ეწყობა კომკავშირში და პიონერთა რიგებში მიღება. ახალგაზრდა ლენინელები დებენ საზეიმო ფიცს, რომ ისწავლიან და იცხოვრებენ ლენინურად.

კიდევ ერთი საინტერესო ამბავია სწავლის წლებში ულიანოვების მიერ ექვსი მედლის აღება. ვლადიმერ ილიას ძის მამა — ილია ნიკოლოზის ძე ერთადერთი ყო, ვინც 1850 წლის კურსდამთავრებულთა შორის ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა. მხოლოდ მან შეძლო გადაელახა სხვადასხვა წინააღმდეგობა და შესულიყო უმაღლეს სასწავლებელში— ყაზანის უნივერსიტეტში. მთელი ასტრახანის გუბერნიიდან მხოლოდ მან შეძლო ეს.

ვლადიმერ ილიას ძის დედამ — მარიამ ალექსანდრეს ასულმა ბავშვობა და სიყმაწვილე გაატარა სოფელ კოკუშკინოში, სადაც დაწყებითი სკოლაც კი არ იყო. მიყრუებულ ადგილას ცხოვრებამ მას ხელი არ შეუშალა განათლებული ქალი გამოსულიყო. მამის, სპეციალობით ექიმის, ხელმძღვანელობით მან შეისწავლა გერმანული, ფრანგული, ინგლისური ენები, რუსული ლიტერატურა, ისტორია და მათემატიკა. ასევე ისწავლა ჭრა-კერვა, ფორტეპიანოს დაკვრა და სიმღერა. გათხოვებამდე ერთი თვით ადრე მარიამ ალექსანდრეს ასულმა სამარის გიმნაზიაში ექსტერნად ჩააბარა გამოცდები მასწავლებლის წოდებაზე და უფლება მიიღო დაწყებითს კლასებში ესწავლებინა რუსული.

მამის წარმატება პირველად ანა ილიას ასულმა გაიმეორა. 1880 წელს, ჯერ 16 წლისაც არ იყო, როცა სიმბირსკის მარიამის ქალთა გიმნაზიის კურს დამთავრებულთა შორის ერთადერთმა მიიღო დიდი ვერცხლის მედალი.

ოჯახის ტრადიცია განამტკიცა ალექსანდრემ. 1883 წელს გაზაფხულზე მან დაამთავრა სიმბირსკის გიმნაზია. „გაითვალისწინა რა ბრწყინვალე დისციპლინა და მასწრაფები, შესანიშნავი წარმატებები, განსაკუთრებით ლათინურ ენასა და მათემატიკაში, პედაგოგიურმა საბჭომ დაადგინა დაჯილდოებინა ულიანოვი ოქროს მედლით...“

ალექსანდრე ილიას ძე პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე შევიდა. მისმა ნიჭმა და განსაკუთრებულმა შრომისმოყვარეობამ (თავის დას იგი შესჩიოდა, დღე-ღამეში 16-საათზე მეტს ვერ ვმუშაობო) ყმაწვილი მალე ერთ-ერთ შესანიშნავ სტუდენტად აქცია. მესამე კურსზე, ზოოლოგიაში დამოუკიდებელი სამუშაოსათვის იგი დაჯილდოვდა ოქროს მედლით და მისი გადაცემის დროს 1886 წლის 8 თებერვალს რექტორმა ა. ი. ულიანოვს პეტერბურგის უნივერსიტეტის სამაყე უწოდა.

ალექსანდრე ულიანოვი უნივერსიტეტის ბოლო კურსის სტუდენტი იყო, მონაწილეობა რომ მიიღო მეფე ალექსანდრე III-ზე თავდასხმაში. ამისათვის იგი დაუპატიმრეს და გაასამართლეს...

ძმის სიკვდილით დასჯამ თავზარი დასცა ვლადიმერს და გამტკიცა მისი გადაწყვეტილება — რევოლუციური ბრძოლისათვის შეეწირა მთელი თავისი სიცოცხლე. თუმცა ვლადიმერი თავისი ძმის მამაცობასა და თავგანწირვას უდიდეს თაყვანს სცემდა, მაგრამ მაინც უარყო ალექსანდრეს მიერ არჩეული გზა. მეფის ხელისუფლების ცალკეულ წარმომადგენელთა და თვით მეფის მკვლელობის საშუალებით თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა ჭაბუკ ვლადიმერ ულიანოვს მიაჩნდა მცდარ ბრძოლად, რომელიც მიზანს ვერ აღწევს. „არა, ჩვენ ასეთი გზით არ წავალთ. ასეთი გზით არ უნდა ვიაროთ“, — თქვა მან.

სიმბირსკის გიმნაზიის ხელმძღვანელობამ საყვედური მიიღო, რომ „სახელმწიფო დამნაშავე“ ალექსანდრე ულიანოვი თავის დროზე ოქროს მედლით დაჯილდოვდეს. მაგრამ ვლადიმერ ულიანოვის წარმატება გამოცდებზე ისეთი ბრწყინვალე იყო, რომ პედაგოგიური საბჭო იძულებული გახდა დაჯილდოებინა ოქროს მედლით დასჯილის ძმა — ვლადიმერ ულიანოვი.

ხშირად სვამენ კითხვას: როგორ მოხდა, რომ ვლადიმერ ულიანოვის ატესტატში ობოლოვით დგას ურთი“ ოთხიანი ამდენ ხუთიანებს შორის, როგორ მოხდა, რომ სიმბირსკის გიმნაზიის პირველ მოწაფეს ოთხიანი გამოჰყვა?

ვ. ი. ლენინის ამხანაგი მიხეილ კუზნეცოვი იგონებს: „ერთხელ, შეშვიდე კლასში ვლადიმერ ულიანოვი ლოგიკის გაკვეთილზე უხალისოდ უპასუხებდა მასწავლებელს — გიმნაზიის დირექტორს თ. მ. კერენსკის (დროებითი მთავრობის მომავალი მეთაურის მამას). დირექტორის კითხვაზე, რატომ იძლევა პასუხს ვლადიმერ ილიას ძე უხალისოდ, მან უპასუხა: „ლოგიკის სახელმძღვანელო არ ესაბამება აზროვნების სწორად განვითარებას, პირიქით, აფერხებს და ბინდავს მას“.

დირექტორმა ულიანოვს უთხრა, არ შეიძლება განათლების სამინისტროს მიერ მოწონებული სახელმძღვანელოს გაკრიტიკება და „ოთხი“ დაუწერა. სხვა პედაგოგების მაიცებულ შეკითხვებზე, რომელთა აზრით ვლადიმერ ილიას ძის ცოდნის შეფასება არაობიექტური იყო, დირექტორი თავდაჯერებულად უპასუხებდა: „ხუთიანზე ლოგიკა მხოლოდ მე ვიცი“. რამდენად ობიექტური იყო გიმნაზიის დირექტორი? ზეგავლენა ხომ არ იქონია მასწავლებლის პოზიციაზე 1887 წლის 1 მარტის ამბებმა? სწორედ ეს იყო შეფასების ნამდვილი მიზეზი. თუ გამოსაშვებ გამოცდებზე აღსაზრდელის შეფასება გამოჰყავდა კომისიას, ლოგიკის შეფასებას განსაზღვრავდა პირადად პედაგოგი, გიმნაზიის დირექტორი. და სწორედ მან დაუკლო ნიშანი სახელმწიფო დამნაშავის ალექსანდრე ულიანოვის ძმას.

ულიანოვების ოჯახის ჯილდოთა კოლექცია უფრო მდიდარი იქნებოდა, პოლიციის ზედამხედველობა რომ არა, რომელიც უმცროს ულიანოვებს დიმიტრის და მარიამს მუდამ თან სდევდა. ფაქტიურად უნივერსიტეტის ოქროს მედალი ვლადიმერმა 1891 წელს დაიმსახურა, როცა პეტერბურგის იურიდიული ფაკულტეტის გამოცდები უმაღლესი შეფასებით ჩააბარა.

საყურადღებოა არა მარტო ის, როგორ იღებდნენ ულიანოვები მედლებს, არამედ ისიც, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო ისინი მზად იყვნენ მსხვერპლად გაეღოთ ეს ჯილდოები. იგონებენ, რომ, როცა მეფეზე თავდასხმის მზადების დროს ტერორისტული ჯგუფის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ორესტ გოგორუხინის დაპატიმრების საშიშროება შეიქმნა, ალექსანდრე ულიანოვმა ლომბარდში დააგირავა თავისი უნივერსიტეტის ოქროს მედალი და მიღებული ასი მანეთი ამხანაგს მისცა. ამ ფულით გოგორუხინი ევროპაში წავიდა. როგორც დიმიტრი ილიას ძე იგონებს, ალექსანდრემ გიმნაზიის ოქროს მედალიც დააგირავა, „რათა ბომბების დასამზადებლად აზოტმჟავა ეყიდა“.

ულიანოვების ექვსი მედლიდან შემონახულია მხოლოდ ერთი — ვლადიმერ ილიას ძის ოქროს მედალი, ისიც მხოლოდ მარიამ ალექსანდრეს ასულის წყალობით. მისი გარდაცვალების შემდეგ იყო მომენტი, როცა მედალი კინაღამ დაიკარგა. 1921 წელს, დიდი გვალვის შემდეგ, ვოლგის-პირეთში შიმშილი დაიწყო, ანა ილიას ასულმა დაუფიქრებლად გადასცა დახმარების ფონდს ოჯახის მთელი ვერცხლეული. ამ მცირე ფასეულობაში იყო ვლადიმერ ილიას ძის ოქროს მედალიც.

მაგრამ აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ეს მედალი დაკარგვას გადაარჩინეს. დღეს ეს ძვირფასი რელიკვია მოსკოვში, ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში ინახება, მის პირს კი მდელვარებით ათვალიერებს ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის ათასობით სტუმარი.

ულიანოვსკში ქალაქის სადგურისწინა მოედანზე ყურადღებას იპყრობს ბრონზეული ლენინის ძეგლი. ვლადიმერ ილიას ძემ ეს-ეს არის დახურა წიგნი და შთაბეჭდილებებით აღსავსე მდუმარედ გასცქერის სივრცეს. სახე ნათელი და შთაგონებული აქვს. ჩვიდმეტი წლის ყმაწვილმა ვლადიმერ ილიას ძემ ასე დატოვა მშობლიური სამშობლო!

ძველ საბერძნეთში ამბობდნენ: ყოველმა ბერძენმა სიცოცხლეში ერთხელ მაინც უნდა ნახოს ათენიო.

დღეს შეიძლება თქვას: ყოველმა ადამიანმა უნდა ნახოს ეს დიდებული ვოლგისპირა ქალაქი, მისი ისტორიული ადგილები.

შ. მახარაძე,

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი.

ულიანოვსკი-თბილისი.

უკვდავი მაგალითი

ჩვენი სასოფლო-სამეურნეო მიმოხილვა

● ●

სად როგორ ამზადებენ საკვებს

მართალია, თიბათვი და მკათათვე უკან დარჩა, მაგრამ რესპუბლიკის მაღალმთიან რაიონებში საკვების დამზადება სწორედ ახლა გაჩაღდა. დასავლეთ საქართველოშიც ეს-ეს არის იწყება ერთწლოვანი ბალახების თიბვა. ამის შედეგია, რომ ივლისის ბოლო და აგვისტოს პირველ კვირებთან შედარებით გასულ კვირაში თითქმის 20 ათასი ტონით მეტი უხეში საკვები დამზადდა. ამ პერიოდში შედარებით მეტია მომარაგებული წვნიანი საკვებიც და ბალახის ფხვნილიც. სულ რესპუბლიკაში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით დამზადებულია 134 ათასი ტონით მეტი უხეში საკვები, მათ შორის 24 ათასი ტონით მეტი თივა და 104 ათასი ტონით მეტი სენაჟი.

შარშანდელ დონეს ასევე აღემატება სხვა სახის საკვების მომარაგების მაჩვენებლები, თუმცა წლევანდელი გეგმების შესრულების მდგომარეობა სახარბიელო არ არის.

აგვისტოში მუშაობის ტემპი გააძლიერეს ახალქალაქელმა, საგარეჯოელმა, დუშელმა, წალკელმა და ლენტეხელმა საკვებმომპოვებლებმა.

როგორც რესპუბლიკური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემები მოწმობს, გასულ კვირას არც ერთი ტონა თივა არ დაუმზადებიათ დმანისის, წულუკიძის, ვანის, ცხაკაიას, ხობის და მესტიის რაიონებს და ყიზლარის საკვებმოპოვების სამმართველოს, თუმცა გეგმები 20 პროცენტითაც კი არა აქვთ შესრულებული. უფრო საგანგაშო მდგომარეობაა ადიგენის, ბორჯომის, გეგეჭკორის, ლანჩხუთის რაიონებში, სადაც გეგმის შესრულება 10 პროცენტსაც ვერ აღწევს.

მიუხედავად იმისა, რომ 25 რაიონი სენაჟს დებს გეგმის გადამეტებით — ვალდებულების ანგარიშში, ამ საქმეში კვლავ ჩამორჩენიან წყალტუბოს, ვანის, ცაგერის, აბაშის, წალენჯიხის, ლანჩხუთის რაიონები და აჭარის ასს რესპუბლიკა, რომლებსაც გეგმები სანახევროდაც არა აქვთ რეალიზებული. ამასთან რედაქციაში მოდის სიგნალები, რომ ბევრგან კვლავ უხარისხო საკვებს ამზადებენ. მაგალითად, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, წულუტუბოს და სხვა რაიონების ზოგიერთ მეურნეობაში, სადაც დაარღვიეს თივის დამზადების ტექნოლოგია, დაზვინული თივა უკლასოა იმის გამო, რომ ნორმაზე ნაკლებ კარტონს შეიცავს.

ნელი ტემპით მიდის ნამჯისა და სხვა უხეში საკვების დამზადება ხაშურის, ქარელის, გორის, ჯასპის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, დუშეთის და სხვა რაიონებში. ეს ნიშნავს, რომ ამ რაიონებში საკვების დანაკარგებთან და მისი ხარისხის გაუარესებასთან ერთად ფერხდება საშემოგომო თესვისათვის ნიადაგის მომზადება. მინდვრიდან ნამჯის დროულ გამოტანაში ზოგან ერთ-ერთი ხელშემშლელი პირობა ის არის, რომ არ ჰყოფნით ან მთელი დატვირთვით ვერ იყენებენ ტრანსპორტს. ამ შემთხვევაში საჭიროა ნამჯა (ვიდრე ტრანსპორტი გამოთავისუფლდება, და ფერმასთან მიიტანდნენ) დროებით გზისპირზე მაინც დაზვინონ.

მოსაწონია საკვების დაგროვებაში წითელწყაროელთა თაოსნობა. აქ კომბაინით აღების შემდეგ წვრილად კეწავენ მზესუმზირის კალათებს, ღეროს და სიმინდთან ერთად ასილოსებენ.

რესპუბლიკაში საკვების დამზადების მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ყველა რაიონში მაქსიმალურად არ არის ამოქმედებული ფურაჟის დაგროვების რეზერვები, ტექნიკა, მუშახელი. განსაკუთრებით ბევრი ბალახია მოუთიბავი ბაღ-ვენახებში. აქ მწვანე მასის ასაღებად ეფექტიანად არ არის გამოყენებული შეფეთის, მოსწავლეების, დიასახლისებისა და პენსიონერების დახმარება.

დრო აღარ ითმენს, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ საკვების დაგროვებისათვის ხელსაყრელი თითოეული საათი.

უბადლო გმირობა

ქოსმოსის კვლევის ახალი ბრწყინვალე ფურცელი

მსოფლიოს საინფორმაციო საგენტოები, საზღვარგარეთის ქვეყნების პრესა, რადიო და ტელევიზია დიდი ინტერესით შეხვდნენ ცნობას „სალუტ-6“- სოიუზ-34“ საბჭოთა სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ეკიპაჟის — ვ. ა. ლიახოვისა და ვ. ვ. რიუმინის თანამიერ ექსპერიმენტის — ღია კოსმოსურ სივრცეში გასვლის შესახებ, სადაც მათ დიდმნიშვნელოვანი ტექნიკური ექსპერიმენტები შეასრულეს.

„პროტონები“ ღია კოსმოსში“, „მარჯვე ოპერაცია „სალუტ-6“ სადგურის ფარგლებს გარეთ“, „კოსმოსური მარათონი წარმატებით მთავრდება“ — ასეთი სათაურებით აქვეყნებენ კომენტარებს სოციალისტური ქვეყნების გაზეთები. თითქმის საათნახევრი ღია კოსმოსში — ეს კოსმონავტების ვლადიმერ ლიახოვისა და ვალერი რიუმინის ვაჟკაცობისა და გმირობის გამოვლენაა, წერს ჩეხოსლოვაკიის „**რუდე პრავო**“. მათ ბრწყინვალედ გაართვეს თავი ყველა ამოცანას და მრავალი კოსმოსური რეკორდი დაამყარეს.

კოსმოსური სივრცის ამ საბჭოთა მკვლევარების ნაყოფიერი მუშაობა, რომლებიც უკვე 170 დღეზე მეტია დაფრინავენ, ხაზს უსვამს გაზეთი „**ნიიეს დოიჩლანდი**“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), მოწმობს, რომ საბჭოთა ადამიანმა მტკიცედ „მოიკიდა ფეხი“ კოსმოსში. სამყაროს მშვიდობიანი კვლევის ისტორიაში ახალი ბრწყინვალე ფურცელი გადაიშალა.

ღია კოსმოსში საბჭოთა კოსმონავტების წარმატებულმა გასვლამ, წერს პოლონური „**ჟოლნეჟ ვოლნოსტი**“, კიდევ ერთხელ დადასტურა ის სკაფანდრებისა და სისტემების საიმედოობა, რომლებიც უზრუნველყოფენ კოსმონავტთა მუშაობას სადგურის ფარგლებს გარეთ. ეს კოსმოსურ სივრცეში სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერიმენტებისა და სარემონტო სამუშაოთა მოწყობის ახალ პრესპექტივებს სხვაგს.

საბჭოთა კოსმოსური მეცნიერების ახალი მიღწევა — ეს აფასებს საბჭოთა კოსმონავტების ვ. ლიახოვისა და ვ. რიუმინის მუშაობას ღია კოსმოსში ამერიკის „**ნიუ-იორკ ტაიმსი**“. გაზეთი დაწვრილებით აშუქებს გაბედული ექსპერიმენტის მიმდინარეობას და აღნიშნავს, რომ ეკიპაჟის წინაშე დასახული ტექნიკური ამოცანები წარმატებით შესრულდა.

„საბჭოთა კოსმონავტების რეკორდული ხანგრძლივობის ორბიტული ფრენა, აგრეთვე მათი ახალ“ შესანიშნავი მიღწევა — თითქმის საათნახევრის მუშაობა ღია კოსმოსში უდიდეს მეცნიერულ ინტერესს წარმოადგენს“, — განაცხადა ცნობილმა დასავლეთგერმანელმა მეცნიერმა, ბონის უნივერსიტეტის ასტრო-ფიზიკის ინსტიტუტის პროფესორმა **მაქს შეფერმა.**

კოსმოსური ფრენის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი რეისის მოწაფილეთა დიდმნიშვნელოვანი ექსპერიმენტები ახალ პერსპექტივებს სახავენ კოსმოსის შემდგომი კვლევისათვის, ხაზგასმით აღნიშნა ინგლისის უდიდესი ობსერვატორიის „**ჯოდრელ ბენკის**“ წარმომადგენელმა. მან ღია კოსმოსში ვ. ა. ლიახოვისა და ვ. ვ. რიუმინის მუშაობას უწოდა საბჭოთა კოსმოსური მეცნიერებისა და ტექნიკის მორიგი მიღწევა.

საბჭოთა კოსმოსური რეკორდები, წერს ბულგარული „**რაბოტნიჩესკო დელო**“, მყარდება მეცნიერებისა და ტექნიკის გამარჯვებისათვის, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის წარმატებით განვითარებისათვის. „სალუტ-6“-„სოიუზ-34“ სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსის ფრენა ახალი ბრწყინვალე ფურცელია საბჭოთა კავშირში მიმდინარე კოსმოსური კვლევის მატიანეში, დასძენს გაზეთი. (საკდესი).

მოკლედ

ყოველი მხრიდან

17 აგვისტო

ლონდონი. აქ გამოაცხადეს, რომ შეიქმნა ლა-მანშის სრუტის ფსკერზე წყალქვეშა რკინიგზის გვირაბის მშენებლობის შესაძლებლობის შემსწავლელი ახალი ჯგუფი. ამ რკინიგზამ ბრიტანეთის კუნძულები უნდა დაუკავშიროს ევროპის კონტინენტს. ჯგუფის შემადგენლობაში შევიდნენ საფრანგეთის, ინგლისის, ჰოლანდიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამშენებლო კომპანიათა წარმომადგენლები. ჯგუფმა მიმდინარე წლის დამლევისათვის უნდა შეადგინოს ორლიანდაგიანი წყალქვეშა გვირაბის მშენებლობის პროექტი. იგი შეცვლის წინანდელ პროექტს, რომელიც ითვალისწინებდა დიდ ბრიტანეთსა და კონტინენტურ ევროპას შორის ერთლიანდაგიანი რკინიგზის აგებას.

თეირანი. ირანის რევოლუციის ლიდერმა აიათოლა ხომეინიმ რადიოთი გამოსვლის დროს მკაცრად დაგმო ისრაელის მმართველი წრეების აგრესიული პოლიტიკა. ამგვარ პოლიტიკას რომ ახორციელებს, ხაზგასმით

ჩვენ და ჩვენი შვილები

მე რომ დედა ვიყო, მე რომ მამა ვიყო...

ოჯახური ურთიერთობის კულტურისათვის

წერილში, რომელშიც საუბარი გვექნება მშობლისა და შვილის ურთიერთობაზე, ძირითადად დაეყრდნობით ანკეტური გამოკითხვის შედეგებს. გამოკითხვა მოეწყო თბილისის სკოლების უფროსკლასელთა შორის, რათა გაგვერკვია, რა იწვევს ოჯახურ კონფლიქტებს, რას თვლიან კონფლიქტის მიზეზად მშობლები და შვილები.

მშობელთა აზრით კონფლიქტის ძირითადი მიზეზებია შვილების აკადემიური წარუმატებლობა და მათი უწესო საქციელი სკოლასა და ოჯახში, საოჯახო საქმეების შეუსრულებლობა, მშობელთა რჩევის უგულებელყოფა, ძირითად, ცხოვრებისეულ საკითხებში აზრთა დაშორება, შრომისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, სიზარმაცე, მშობლებისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება.

უფროსკლასელთა აზრით: მშობელთა უსამართლობა (ყოველი მეოთხე წერს — არც კი გაარკვევენ საქმეს, ისე გვადანაშაულებენო), სამსახურიდან მშობელთა ცუდ გუნებაზე მოსვლა, მეგობრებთან შვილის ურთიერთობაში უხეშად ჩარევა..

როგორც ვხედავთ, გამოიკვეთა კონფლიქტი.

ოჯახი მაშინ შეძლებს ჩაუნერგოს ბავშვს შრომისა და მშრომელი ადამიანის სიყვარული, შრომისადმი მზრუნველი დამოკიდებულება, როცა ოჯახური კოლექტივის შრომითი საქმიანობა დაეფუძნება სწორ, ადმზრდელობითს მოთხოვნას, როცა საოჯახო შრომაში თანასწორობის პრინციპს დაიცავენ.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა კი ამ მიზანს მაშინ მიაღწევს, როცა შრომითი სწავლების დროს სწავლება დაეყრდნობა მოზარდთა პრაქტიკულ ქმედებას, „სწავლება“ არ შეავიწროებს შრომას. შედეგს მაშინ დავინახავთ, როცა სახლში ონკანი მოიშლება და მის გასაკეთებლად ხელოსანი კი არ დაგვჭირდება, არამედ თვითონ ჩვენი უფროსკლასელი ბიჭები გააკეთებენ, ხოლო გოგონები საკერავი მანქანით სწორ გვირისტს გაავლებენ.

შრომა ოჯახის წევრთა შორის ურთიერთობის, კომუნიკაციის, თავისებური ფორმაა. სადილის ერთად მომზადება ნიშნავს ზრუნვას არა მარტო კერძების მომზადებაზე, არამედ ოჯახის წევრთა შორის თანხმობასა და სოლიდარობაზეც, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ოჯახის ზნეობრივი ატმოსფეროსათვის.

ყმაწვილთა კონფლიქტიდან საჭირო დასკვნების გამოტანისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თუ როგორ მივუდგებით მას. უფროსკლასელთა 46 პროცენტის აზრით, უსიამოვნების შედეგად მშობლებს სათანადო გადაწყვეტილება კი არ გამოაქვთ, არამედ კონფლიქტი დავიწყებას ეძლევა; 17 პროცენტის აზრით, მოზარდები თვითონ ეძებენ შერიგების გზას, უფროსკლასელთა 23 პროცენტის აზრით, კონფლიქტების შედეგად მათ ეზღუდებათ დამოუკიდებლობა, 10 პროცენტის აზრით, მშობლები ურიგდებიან შვილებს, მხოლოდ 4 პროცენტმა თქვა, რომ მათი მშობლები კონფლიქტის მიზეზებს ეძებენ და, თუ საჭიროა, იმასაც კი აგრძნობინებენ, რომ თვითონ არიან დამნაშავე.

კონფლიქტის მიზეზების, სამართლიანობის დაუდგენლობა, და ხუბებოდი: ეს გვაკლია ეს გვინდა, სხვას აქვს, ჩვენ არა. ოჯახური ბედნიერება ასე წარმომდგენია: ოჯახი უნდა მიისწრაფოდეს მიზნისაკენ. ჭკნდეს რაიმე პერსპექტივა. წინააღმდეგ შემთხვევაში ცხოვრება უფერული გახდება“. (მეათეკლასელი გოგონა).

„მართალია, დედა ყველაზე ახლოა შვილთან, ძალიან უყვარს თავისი შვილი, მაგრამ გარკვეული ზღვარი მაინც უნდა არსებობდეს დედასა და შვილს შორის, ყველა საკითხში არ უნდა ჩაეჭრას შვილს“. (მერვეკლასელი ბიჭი).

„როცა მამობაზე ვფიქრობ, ყოველთვის ვოცნებობ ვიყო ისეთი მამა, როგორიც იყვნენ ხევსებერი გოჩა, ტარიელ გოლუა. მამობა მარტო ჭამა-სმაზე და ჩაცმა-დახურვაზე ზრუნვა როდი, მამობა იმაზე ზრუნვაცაა, შვილს საერთო საქმის სამსახური ასწავლო. ამბობენ, გახშირდაო არასრულწლოვანთა დანაშაული, დამნაშავის მამა რომ ვიყო, შვილს პირველ ფიგში ჩემ წინაშე ვაგებინებდი პასუხს. ალბათ ძალიან ძნელია ამის მიღწევა, მაგრამ ვფიქრობ, რომ შესაძლებელია“. (მეცხრეკლასელი ბიჭი).

„მე რომ მამა ვიყო, სახლში მოვრალი არასოდეს არ მოვიდოდი, არ ვეჩხუბებოდი ჩემ ცოლს, შვილებს. ზოგს ვაუკაცობად ის მიაჩნია, რომ მისი ეშინოდეთ ცოლსა და შვილებს“. (მერვეკლასელი ბიჭი).

„მე რომ დედა ვიყო, დედაჩემივით არ მოვიქცეოდი. ასე მგონია, დედას ეშინია მამისა. შემოვა თუ არა მამა ოჯახში თითქოს ქორმა ჩამოიჭროლაო. ყველანი გავირინდებით, ავიბუზებით, კუთხეში მივიკუნჭებით. დედა თავს დასტრიალებს მამას, თვალებში შესცინებს. როცა მამა ისადილებს. წამოწვება. დედა ისევ საქმეს აკეთებს. ჩვენ გაუნძრეველად უნდა ვიყოთ, არ ვიხმაუროთ, დედაჩემის ბრალია, მამა რომ ასე ბატონივით იქცევა. მიაჩვია ბატონობას“. (მერვეკლასელი გოგონა).

მე რომ დედა ვიყო...
მე რომ მამა ვიყო...

შვილებმა მიგვანიშნეს იმ ნაკლზე, რომელიც ურთიერთობაში ხელს გვიშლის. „კარგი მშობელი მარტო თვითონ როდი ასწავლის შვილებს, შვილებისგანაც რაღაცას სწავლობს. შეგვიძლია შვილის მოსმენა, მისი გაგება? მშობლებმა ხშირად დაკუსვათ ეს კითხვა საკუთარ თავს. დედაშვილობა სოციალური ურთიერთქმედებაა. ეს ურთიერთქმედება უბრალო თანაარსებობა კი არ არის, არამედ თანაქტიურობაა, რომელიც ერთმანეთის გაგებას უნდა დაეყრდნოს.

კითხვაზე, რაზე ესაუბრებიან მშობლები, უფროსკლასელებმა გვიპასუხეს: სწავლაზე — 96 პროცენტმა, ქცევის მანერებზე — 85 პროცენტმა, წაკითხულ წიგნზე — 36 პროცენტმა, კინოფილმზე — 43 პროცენტმა, ამხანაგებთან ურთიერთობაზე — 58 პროცენტმა.

როგორც ვხედავთ, ჭკუის სწავლების ხასიათის ურთიერთობამ პროცენტულად გადააჭარბა სახუბარო, აზრთა გაზიარების ურთიერთობას. ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა უფროსკლასელთა პასუხებმა კითხვაზე — როდის გვაცინავენ, რისთვის და ვინ გვაცინავს? თითქოს შეთანხმდნენო, უფროსკლასელთა 68 პროცენტმა ერთნაირად გვითხრა: ყოველთვის, ყველაფერზე.

ერთ-ერთი მთავარი შენაძენი, რომლის გადაცემასაც უფროსი თაობა ყოველთვის ცდილობდა უმცროსი თაობისათვის, ცხოვრებისეული გამოცდილება იყო, არის და იქნება. მაგრამ როგორ ვახერხებთ ამას?

ყოველ თაობას აქვს რაღაცა საამაყო, რომელიც ეკიდება მისგან გადმოიღო, ისწ.ვლო. მაგრამ თვით ამ მისაბაძშიც, სამაგალითოშიც შვილები ვერ გაიმეორებენ ყველაფერს. მრავალ პრობლემას, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — ახალგაზრდობა სხვანაირად უდგება, არა იმ გზით, არა იმ ფორმით, როგორითაც მათი მამები.

ჭეშმარიტი ცხოვრებისეული გამოცდილება — ეს არის არაერთხელ და სამუდამოდ დადგენილი შეხედულებანი, არამედ უნარი ამ გამოცდილების ახლებურად წვდომისა და მასზე ზემოქმედებისა. ის მშობელი, პედაგოგი, რომლებიც ამას ვერ გაითვალისწინებენ, ახალგაზრდობის გულისაკენ მიმავალ გზას ვერ გაიგებენ.

მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობაში დიდ როლს ასრულებს თავისუფალი დროის ორგანიზაცია. უფროსკლასელები მშობლებთან ერთად სად ატარებენ თავისუფალ დროს? გამოკითხულთა 91 პროცენტმა გვიპასუხა, რომ თავისუფალ დროს ისინი ატარებენ ან სტუმრად, ან ტელევიზორთან, 11 პროცენტმა — თეატრსა და კინოში. დანარჩენებმა აღნიშნეს, რომ არ რჩებათ თავისუფალი დრო, „როცა ჩვენ გვცალია, მშობლებს არ სცალიათ, ან პირიქითაო“ და სხვა.

საოჯახო შრომის დროს ერთად არა ვართ, თავისუფალი დროის გაძოძებას და ერთად ყოფნას ვერ ვახერხებთ, ერთმანეთს ვერ ვუგებთ. მაშ როგორ დამყარდეს ურთიერთობა ჩვენსა და შვილებს შორის; როგორ იქცეს იგი ჩვენი ოჯახის ყველაზე დიდ ფუფუნებად? ამაზე ღირს ვიფიქროთ!..

რ. ირემაშვილი,
პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ნეკრილები

ქომეუნისტი

ბაზეთი ჩაერია, დაეხმარა

«ქომუნისტის» კონტროლზეა მკითხველთა ნერილები

ბაზეთის მკითხველი ა. მეტრეველი რედაქციისადმი გამოგზავნილ წერილში უჩიოდა მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის ასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს, რომელმაც ეარი უთხრა ჩაეწერა იგი სხვა რაიონიდან მცხეთის რაიონში საცხოვრებლად გადმოსვლასთან დაკავშირებით ნაყიდ სახლში. მცხეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ თ. პეტრიაშვილმა განაცხადა:

აღმასკომმა შეისწავლა ა. მეტრეველის განცხადება და დააკმაყოფილა მისი თხოვნა.

მგზავრისადმი უტაქტობასა და უხეშობაზე იყო საუბარი წერილში, რომელიც რედაქციამ მოქალაქე თ. მანჯგალაძისაგან მიიღო.

მძღოლი ვ. გიუზალოვი მართლაც იმსახურებს სამუშაოდან განთავისუფლებას, — გვწერს პასუხად თბილისის მსუბუქი ტაქსომოტორების ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორი გ. ნინოშვილი, — მაგრამ მხედველობაში იქნა მიღებული ის გარემოება, რომ მას არ ჰქონდა არც ერთი დისციპლინური სასჯელი, ამიტომ ვ თვით არის ჩამოქვეითებული და გადაყვანილი დაბალხელფასიან სამუშაოზე.

დუშეთის რაიონის სოფელ ფაათასა და თიანეთის რაიონის სოფელ გორანას შორის გზა ვერ ამყოფილებს საავტობუსო მიმოსვლის საჭიროებას. გზის ამ მონაკვეთის შეკეთების შემდეგ შეიძლება დაწესდეს საავტობუსო მიმოსვლა დუშეთსა და თიანეთს შორის, რაც თითქმის ასი კილომეტრით შეამცირებს გზას რაიონებს შორის, — გვწერდა გულისტკივილით ჩვენი მკითხველი ვ. ბობოხიძე.— „ამ დადებულ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სთხოვა გამოეგზავნა თავისი დასკვნა რეფერენციისათვის.

ვანიდან თხუთმეტიოდე კილომეტრის დაშორებით, მდინარე კვინისწყლის ნაპირზე, ლამაზ ხეობაში მდებარეობს ჭოკიანის მინერალური წყალი, მისი სამკურნალო თვისებები ჯერ კიდევ მორეულ წარსულში ყოფილა ცნობილი.

ჭოკიანის წყალი სულ უფრო მეტ ავადმყოფს იზიდავდა. 28 წელი დავყავი ვანის რაიონში მთავარ ექიმად და ქირურგად და ამ ხნის განმავლობაში მინერალური წყლით აქ ათი ათასზე მეტმა ავადმყოფმა იმკურნალა. ამ საქმით დაინტერესდნენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები და ავადმყოფებისათვის აეშენეს პანსიონატი, მოეწყო დიეტური სასადილო, გაიხსნა სასურსათო მაღაზია, აბაზანებისათვის აგეს კაპიტალური შენობა, გაამწვანეს ტერიტორია, ექსპედიციები გაიზმირა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გ. კონიაშვილის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა.

გადიოდა წლები, და, სამწუხაროდ, კარგად დაწყებულმა საქმემ გაგრძელება ვერ პოვა. რატომღაც საჭიროდ მიიჩნიეს ჭოკიანის გაუქმება, რის შედეგად გაპარტახდა ნაგებობა, მინერალურ წყლის საბადოს ვეჩრა. ერთ-ერთ მათგანს, ნანგაზმულ ქალს, ხეზე ასვლა ვერ მოეხერხებინა, ქვემოდან დაეთრია კაკლის მოზრდილი ტოტი და მკვახე ნაყოფით გამალებით ივსებდა კალთას. გულმა არ მომითმინა, მანქანა შევაჩერე და მორიდებით მივმართე:

— ქალბატონო, რატომ კადრულობთ ამას, ეს კაკლის ხეები ხომ ყველას საკუთრებაა, ტოტებს მაინც რაღას ერჩით. ქალმა ირონიულად გამომხედა და მითხრა: ეს ტოტები თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს, არა უშავს რა, კიდევ ამოიყრის. მობრძანდით

კურორტი შეგვემატება

✦✦ ვანის „ესენტუკი“

მალე ჭოკიანს ალადგენენ

რი წყლის საბაბანო, განადგურდა ნარგავები.

და აი, ასეთი მივიწყების შემდეგ, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გ. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის კვლევითი ინსტიტუტი კვლავ დაინტერესდა ამ წყლით. პირველად ამ წყლის ანალიზი 1925 წელს გაუკეთებიათ, იგი შემდეგშიც მრავალჯერ ყოფილა შემოწმებული, მისი დებიტი დღე-ღამეში 500. 600 ლიტრია. უკანასკნელად ანალიზი 1979 წლის იანვარში გაკეთდა. წყალი ნახშირორჟანგანი, ჰიდროკარბონატულ-ქლორიდული, ნატრიუმ-კალციუმიანია და შეიცავს კოშტავას ლიტრში 0,95 გრამის ოდენობით. ამ წყლის სამკურნალოდ გამოყენება შეიძლება როგორც აბაზანის სახით, ისე სასმელად. აბაზანისათვის საჭიროა იგი გათბეს 36-38 გრადუსამდე.

წყალი შეგვიძლია გამოვიყენოთ სხვადასხვა ქრონიკული ინთებითი პროცესების დროს (რევმატოიდული ართრიტი, ოსტეოართროზი, სპონდილოართროზი და სხვ.), აგრეთვე პერიფერიული ნერვული სისტემის ქრონიკული ინთების, კანისა და გინეკოლოგიური დაავადების დროს, სასმელად კი საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებისა და ღვიძლის და სანაღვლე გზების ქრონიკული ინთებითი პროცესების დროს.

ჭოკიანის მინერალური წყალი № 17 ესენტუკის წყლის ანალოგიურია.

უკვე გადაწყდა და აქ ალბათ მალე დაიწყება აღდგენითი სამუშაოები, უახლოეს ხანში კიდევ ერთი კეთილმოწყობილი კურორტი შეგვემატება.

შ. თოდუა,
ვანის რაიონის ქირურგ-კონსულტანტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

ᲐᲛ ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲕᲛᲐᲕᲐᲯᲝᲑᲔᲜ



ᲩᲐᲥᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲖᲔ.

ᲑᲣᲜᲔᲑᲐ — ᲛᲝᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔ.

შ. ბაბაიანისა და რ. ტოფაქიძის ფოტო.

ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ

გმობენ, ბრძოლას უცხადებენ...

საქართველოს გზებზე ავტომანქანით მოგზაურობისას ვინ არ გაუხარებია თვალწარმტაცი მთა-გორებს, ველ-მინდვრებს, აბიბინებულ გარემოს.

ამ რამდენიმე წლის წინათ საავტომობილო გზების გაყოლებით კეთილმა ადამიანებმა კაკალი, გარგარი, ალუბალი, ნუში და მრავალი სხვა ხეხილი დარგეს. ბარაქიან მიწაზე იხარა და ტანი აიყარა, აიქიჩრა და ნაყოფით დაიხუხტლა ხეები. სიჩრდილობლადაც საუცხოოა გზებზე აშრიალებული ხეივანი, თაკარა ხეცხეში მის ჩრდილქვეშ დაისვენებს, სულს მოიბრუნებს მგზავრი, მაგრამ ზოგიერთ მუქთა შოვნის მოყვარულს ნაყოფიერი ტოტები მოუმტვრევია. ამაზე წერდა გზეთი „კომუნისტი“ 4 ივლისს დაბეჭდილ წერილში — „სიხარბე?!“

ჩვენი მკითხველები გულისწყრომით კიცხავენ იმათ, ვინც უდიერად ექცევა და ანადგურებს მწვანე ნარგავებს, მოითხოვენ რესპუბლიკის ფლორისა და ფაუნის დაცვას.

თბილისელი ო. ციცხლაძე აღუშფოთებია წერილში მოყვანილ ფაქტებს და გვთავაზობს წინადადებას: კარგი იქნებოდა, თუ ჩვენშიც კაკლის მოსავლის რეალიზაციით აღებულ ფულს გზის მოვლასა და კეთილმოწყობას მოვახმართ. ისიც შეიძლება, რომ საავტომობილო გზების გასწვრივ გაშენებულ მწვანე ნარგავებს წარმოება-დაწესებულებანი მივამაგროთ მეთვალყურედ. გამოვუყოთ თითოეულს თავისი უბანი, აიღონ მოსავალი და სახელმწიფოს ჩააბარონ.

ვლ. ყაველაშვილი გვწერს: ნატახტართან რამდენიმე ქალი და ბავშვი კალათებით შესეოდნენ კაკლის ხეებს და შემოუსვლელ ნაყოფს უმოწყალოდ გლეჯდნენ. ზოგიერთს ტოტებიც კი მოემტვრია. ერთ-ერთ მათგანს, ნანგაზმულ ქალს, ხეზე ასვლა ვერ მოეხერხებინა, ქვემოდან დაეთრია კაკლის მოზრდილი ტოტი და მკვახე ნაყოფით გამალებით ივსებდა კალთას. გულმა არ მომითმინა, მანქანა შევაჩერე და მორიდებით მივმართე:

— ქალბატონო, რატომ კადრულობთ ამას, ეს კაკლის ხეები ხომ ყველას საკუთრებაა, ტოტებს მაინც რაღას ერჩით. ქალმა ირონიულად გამომხედა და მითხრა: ეს ტოტები თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს, არა უშავს რა, კიდევ ამოიყრის. მობრძანდით ჩემთან ოჯახში და კაკლის მურაბით გაგიმასპინძლებით. ხეებს მოდებულებმა კი სიცილი დამაყარეს.

როცა მილიციით დავემუქრე, შეეშინდათ და სასწრაფოდ ჩამოცვივდნენ ძირს.

— ყველა პატიოსან კაცს გულს სტკენს ჩამომტვრეული, დაღეროებული, ნატეხებად ქცეული ტოტები. მომიტევეთ, თუ წერილს სათაურს შევუცვლი: „სიხარბე?“ — არა სიბეცე! — წერს რუსთაველი პედაგოგი ი. ბექიტაშვილი. — მახსოვს აკრეთვე, თქვენს გაზეთში ორი წლის წინათ კახეთის გზაზე განადგურებულ ჭერმის ხეებზე წერდით. იმ წერილს ასეთი სათაური ჰქონდა „ხელი იხილე, ტოტებს რას ერჩი?“

სასიამოვნო და საამაყოა, თბილისის შემოგარენს მრავალი რაიონის მშრომელები რომ ამწვანებენ. მათ შეილვივით ნაზარდი ნერგებით დაამშვენეს დედაქალაქი. ჩვენ კი რას ვშვრებით? სათუთად მოვლილ 10-15 წლის მარადმწვანე ხეებს ვსპობთ. არა გაკვირვებთ? აი მაგალითები: ჯერ იყო და მეტრო „სამგორის“ ჩასასვლელის მიმდებარე აღგილის რეკონსტრუქციის დროს ფიქი გაიჩეხა, მეორე — ავჭალის გზატეხილის რეკონსტრუქციას კინო „საქართველოდან“ გლდანის გადასასვლელამდე ნაძვებისა და ფიქვების მოჭრა მოჰყვა. ახლა კი ზაჰესთან წყაროებს გასცდებით თუ არა, მარცხნივ 300-400 მეტრზე ისეთი ფიქვები გაანადგურეს, აე თვალს არ ენახვებოდა.

სამართლიანად სვამს კითხვას წერილის ავტორი: ნუთუ არ შეიძლება ასეთი ხეები შემოითხაროს და თავისი მიწითვე სხვა ადგილას გადაირგას? ზოგიერთი იტყვის: დიდია და არ გაიხარებსო. არა! უთუოდ გაიხარებს. ამ თორმეტი წლის წინათ რუსთავის მეთხუთმეტე საშუალო სკოლის ეზოში გადავრგე 18 წლის 2 ფიქვის ხე და გაიხარა, თუ არ გჯერათ, ნახეთო.

რუსთაველმა დ. ცხოვრებაძემ და თბილისელმა ლ. ჩიქოვანმა მწვანე ნარგავების მოვლის პატრონობისა და გაშენების შესახებ თავიანთი აზრი გამოთქვეს, ისიც დასძინეს, რომ დღეს, როცა პარტია და მთავრობა ბუნების, მისი ფლორისა და ფაუნის დასაცავად დიდ მზრუნველობას იჩენენ, „თითოეული ჩვენგანის ვალია ხმა ავიმაღლოთ და დაუნდობელი ბრძოლა გამოვუცხადოთ მწვანე ნარგავების მტრებს“.

ᲡᲣᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ

მშენებლები კი იგვიანებენ

ოქურეში ცაგერის რაიონის ერთ-ერთი დიდი სოფელია. აქაური მცხოვრებლების განკარგულებაშია „კლუბი, ბიბლიოთეკა, საფოსტო განყოფილება, საშუალო სკოლა, საექიმო პუნქტი, პურის საცხობი და მაღაზია. ერთი სიტყვით, ამ სიკეთით ოყურეშლები დიდად „ძაყოფილნი ვართ, მაგრამ გვაკლია მთავარი და ძირითადი — კეთილმოწყობილი სასოფლო გზა.

წინათ ჩვენს სოფელს ოთხი კილომეტრი სიგრძის კარგი გზა ჰქონდა, მაგრამ ათ წელზე მეტია იგი არავის შეუკეთებია. დროთა განმავლობაში ვერ იყო და ტრაქტორებმა გადათხარა, მერე ნიადაგრებმა ჩარეცხა მისი ვაკისი. ამრიგად ინტენსიური, დაუდეგარი ექსპლოატაციისა და უყურადღებობის გამო ეს ერთადერთი გზა მოიშალა და წაწდა.

ოყურეშლებმა წინა წლებში არაერთხელ დავსვით გზის შეკეთების საკითხი, მაგრამ რაიონის ყოფილი ხელმძღვანელები დაპირებებით გვაშშვიდებდნენ.

წელს თითქოს საქმე ადგილიდან დაიძრა. ცაგერის რაისაბჭოს აღმასკომმა თავის საწარმოო-საგზაო უბანს გეგმაში შეუტანა ამ გზის ერთკილომეტრიანი მონაკვეთის „კაპიტალური შეკეთება. ეს, რა თქმა უნდა, მცირე წყალობაა, მაგრამ ამითაც „ძაყოფილი ვიქნებით, ოღონდ დაადგეს საშველი მუშაობის დაწყებას.

მალე აგვისტოც მიიწურება და მშენებლობის სეზონი დროც გავა. გზის მშენებლები კი იგვიანებენ.

საინტერესოა, როდის აპირებს დავალების შესრულებას რაისაბჭოს აღმასკომის საწარმოო-საგზაო უბნის კოლექტივი?

დ. მამარდაშვილი,
შ. უგრეხელიძე.

სხვას რომ ეთქვა, არ დავიჯერებდი

მივლინებაში ყოფნისას სალამოთი ნათესავები მოვინახულე. შეწუხებული დამხვდნენ: ბავშვი გავიხდა ავად, ბგონი მოგვეწამლა, სასწრაფომ ქუთაისში, ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე კუჭნაწლავის ინფექციურ საავადმყოფოში წაიყვანა.

შეძლებისდაგვარად ვანუგეშე და საავადმყოფოშიც გავეცალეთ. ექაურობამ გამაოცა: ანაზღაურებულ-თანქარიძისეული სახლ-კარი დამიდგა თვალწინ (ინფექციური საავადმყოფო მოსახლეობას ზედ ეკვრის). ეზო ოკეანის დაბალ მესრით არის შემოკავებული, რომელიც ალაგ-ალაგ გადაქცეულია და გასამგრეტლად ისეთივე ეანგიანი მავთულხლართით ამოუკემსავთ. შესასვლელ კართან დაწესებულების მაუწყებელი აბრა არ არის, სამაგიეროდ გამოკრულია მნახველთა საყურადღებო განცხადება, რომლის წაკითხვას ყველაზე გამოცდილი ექსპერტიც ვერ შეძლებს, დგას გუშაგი, რომელიც ყველას ერთნაირად გულგრილად ხვდება. მაგრამ, საკვირველია შეძლო „ინტიმური“ მოლაპარაკება, რომ რაც უნდა გაქვიროს ხელში ეზოში შეგიშვებს და მერე ჰკრი, სადაც გინდა იარაპაშე. ეზოში, ზოგიერთი მხანელი ბაზრიდან მოვიდა აქ, რადგან ხილბოსტნეულით სავსე ავტურებით ბრუნდებოდა უკან. საავადმყოფოს ეზოში წუმპეებია, შენობის ქერი და კედლები ბევრგან ჩამონგრეულა, ავადმყოფთა პატრონებს მზის ასარდებლად ფანჯრებზე შინიდან მოტანილი ფერადი ქსოვილები გაუკრავთ, შენობაში უამრავი ბუნი ირევა... სხვას რომ ეთქვა, ქუთაისში, ამ მდიდარი ტრადიციების მქონე ქალაქში ასეთი საავადმყოფო არაა, ნამდვილად არ დავიჯერებდი.

ლ. შენგელია,
მეცნიერი მუშაკი.

კარიკატურისტის თვალით

**ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲨᲔᲕᲘᲓᲘᲜᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲠᲔᲚᲬᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲐ�წᲐᲠᲛᲝᲡ (ᲔᲢᲘᲙᲔᲢᲖᲔ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ) ᲛᲘᲘᲠ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲗᲘᲗᲝᲗ 3 ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲓ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ) ᲛᲘᲘᲠ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲗᲘᲗᲝᲗ 3 ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲓ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜ

ფინ შაბათი და კვირაა





ასე ისვენებენ დედაქალაქელი მშრომელები თბილისის ზღვაზე.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

ჯილდოდ—საგზურები

მეორე კვარტალში სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული გამარჯვებისათვის ფულადი პრემიითა და ტურისტული საგზურებით დაჯილდოვდნენ ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ავტომატების საამქროს მუშები.

ავტომობილმშენებლები სამ დღეს მოგზაურობდნენ აჭარაში, იყვნენ ბოტანიკურ ბაღსა და მწვანე კონცხზე, ნახეს დელფინარიუმი...

საწარმოს ხელმძღვანელობა დიდი ყურადღებით ეკიდება ქარხნის მშრომელთა საზაფხულო დასვენებას. პროფკავშირის საქარხნო კომიტეტმა წელს 25 ათასი მანეთი გამოჰყო მუშა-მოსამსახურეთა ექსკურსიებისა და ტურისტული ლაშქრობების ორგანიზაციისათვის. ამ თანხიდან 12 ათასი მანეთი მოხმარდა ტურისტული საგზურების შეძენას. ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში უკვე იყო 25 ავტოქარხნელი. ... კი ამ ქვეყნებს ეცნობიან—მსმენელი გ. ასათიანი, მუშადგილი ვ. ჯანელიძე და გ. ჯიქია ... რი ნ. შენგელია, სხვა მოწინავეები.

გარდა ამისა, დირექციისა და პროფკავშირის კომიტეტის გადაწყვეტილებით სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა დიდ ჯგუფს მიეცა სახატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების უფასო საგზურები. ახლა ბულგარეთის კურორტებზე ისვენებენ სამჭედლო საამქროს მტვიფრავი გ. ჯიმშელეიშვილი, ელექტრიკოსი გ. ჯავახაძე და სხვები. დიდი ყურადღება ექცევა მშრომელთა დასვენების მიზნით შაბათი და კვირა დღეების უკეთ გამოყენებას.

ტყის საკეთოს პეტრიარქი

ჭიათურა 14 აგვისტო. (საქინფორმის კორ.). აფხაზეთის ... ტყეებში ... წელიწადში ... ბინ ... ტრიარქი— ურთხელი. ეს ხე მესამეული პერიოდის რელიქტია. იგი განთქმულია თავისი სქელი ვარჯით, უჩვეულო სიმტკიცით. ... ავტონომიურ რესპუბლიკაში ... ტყეს 540 ათასი ჰექტარი ფართობი უჭირავს. მთელ ამ ტყეს სახელმწიფო იცავს. ნე-ტყის სამრეწველო ჭრის მოცულობა წელიწადში 40 ათას კუბურ მეტრამდე შემცირებული, რაც მინიმალურია. ... რესპუბლიკაში შექმნილია სამი ნაკრძალი, რომელთა ფართობი 60 ათას ჰექტარს აღემატება.

XI საერთაშორისო კინოფესტივალზე

მარად ცოცხალი ტრადიციები

ოქტომბრის ბარიკადებზე იშვა საბჭოთის რევოლუციური ხელოვნება და ამის მაღალი სიმბოლო იმაშია, რომ საბჭოთა კინოს 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ფილმების რეტროსპექტივა გახსნა სურათმა, რომელსაც ეწოდება „ოქტომბერი“.

ოქტომბრის რევოლუციის ათი წლისთავისადმი მიძღვნილი სერგი ეიზენშტეინის ფილმი უჩვენეს მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს 16 აგვისტოს კინოს ცენტრალურ სახლში.

„თუ რევოლუციამ ხელოვნებაში მიმიყვანა, ხელოვნებამ მთლიანად ჩამაბა რევოლუციაში“, — წერდა ს. ეიზენშტეინი. ამ სიტყვებს ხელს მოაწერდა ყველა მისი თანამებრძოლი — საბჭოთა კინემატოგრაფიის ფუძემდებელი. მათი ნაწარმოებებიც შეტანილია რეტროსპექტიულ ჩვენების პროგრამაში. ესენია ვ. პუდოვკინის „ჩინგისხანის შთამომავალი“, ა. დოვჟენკოს „არსენალი“, ბ. ბარნეტის „გარეუბანი“. - გვიდრდით აფიშაზე კი უფრო გვიანი წლების ფილმებიც: ი. სავჩენკოს „ტარას შევჩენკო“, ვ. შუკშინის „წითელი ძახველი“.

მოსკოვის კინოდათვალიერების პროგრამაში შეიცავს მსოფლიო კინოს შედევრების რეტროსპექტიულ ჩვენებასაც. იგი ეწყობა კინოთეატრ „ილუზიონში“, რომლის აფიშას ამშვენებს რენე კლერის, კინგ ვიდორის, აკირა კუროსავას, ეჟი კავალეროვიჩისა და სხვა განთქმული ოსტატების სახელები.

მხატვრული ფილმების შეჯიბრების ჟიურის სამსჯავროზე ფესტივალის მესამე დღეს წარმოდგენილი იყო ვიეტნამელი რეჟისორის ლონგ ვანის ახალი სურათი „მხიერად წინ“. ეს არის შთამბეჭდავი, მართალი მოთხრობა იმაზე, თუ როგორ ძნელია მშვიდობიანი ცხოვრების მოგვარება ვიეტნამის სამხრეთ რაიონებში მათი განთავისუფლების პირველ დღეებში.

სხვანაირი სამყარო — სხვანაირი პრობლემები. ამერიკელი რეჟისორის ჰოლ ბარტლეტის ფილმი „სანჩესის შვილები“ ეხება მექსიკელი მუშის ოჯახის მძიმე ხვედრს, მის განკერძოებულობას, რომელიც ყრუ კედლივით არის აღმართული ნაღდი ფულის სამყაროში ახლობელ ადამიანებს შორისაც კი. ამ კინოფილმში ქალაქ გაიბრწყინა ტრაგედიული ნიჭით მსახიობმა ენტონი კუინმ.

ბელგიელი რეჟისორის ჟან მარი ბუშეს მიერ დადგმული ფილმი „მირეი სხვათა ცხოვრებაში“ გვიჩვენებს იმ სამყაროს სოციალურ წყლულებს, სადაც ადამიანის ღირსების საზომია ფული.

ამ დღეს ფესტივალმა შეიძინა კიდევ ერთი შემოქმედებითი ტრიბუნა: სასტუმრო „როსიაში“, კინოდათვალიერების შტაბ-ბინაში, გაიმართა პირველი პრესკონფერენციები. ჟურნალისტთა წინაშე კინოს ოსტატებმა ილაპარაკეს შემოქმედებითი ჩანაფიქრის შესახებ, დამსწრეთ გაუზიარეს აზრი იმაზე, თუ რა ადგილი უკავია თანამედროვე სამყაროში კინოხელოვნებას. (საკდესი).

● ●

ხალისიანად ისვენებენ

ჯალა. (საკ. კორ. გ. თედეევი). ... ავტორი თვალწარმტაცი ბუნება მრავალ ტურისტსა და დამსვენებელს იზიდავს. როცა პაპანაქება სიცხეა, მაშინ უფრო საამოა მთის ეს გრილი მიდამო. ხალისიანი დღეებია ახლა საკავშირო კომკავშრომულ-ახალგაზრდულ ტურისტულ ბანაკ „ჯალაში“. ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ახალგაზრდებისათვის აქ აქტიური დასვენების ყველა პირობაა შექმნილი.

ბანაკში მოეწყო საინტერესო, შინაარსიანი შეხვედრები პარტიისა და კომკავშირის, სამოქალაქო ომისა და სამამულო ომის ვეტერანებთან, წარმოების მოწინავეებთან. მოეწყო ექსკურსიები ლიახვის ხეობაში, შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ღვაწლის აღიარება

აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოს სსრ დამსახურებულ მხატვარს, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტს პროფესორ **გ. თოთიბაძეს** ავტონომიური რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სატიტო წოდება მიენიჭა. ამასთან დაკავშირებით საქინფორმის კორესპონდენტმა პროფესორ გ. თოთიბაძეს სთხოვა ეამბნა, თუ რა დახმარებას უწევს თბილისის სამხატვრო აკადემია აფხაზეთის ასს რესპუბლიკისათვის მხატვართა

გ. თოთიბაძე — აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

კადრების მომზადების საქმეს.

— აფხაზეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება დიდი პატივია ჩემთვის და ბევრს მავალებს, როგორც უმაღლესი სასწავლებლის რექტორს და როგორც მხატვარს, — თქვა მან.— ქართველ და აფხაზ მხატვართა მეგობრობის ტრადიციები, რომლებსაც საფუძველი ჩაუყარა ჩვენი სახვითი ხელოვნების თვალსაჩინო ოსტატმა აპოლონ ქუთათელაძემ, ვითარდება და კარგ აღმონაცენს გვაძლევს. თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულნი ყოველწლიურად ემატებიან აფხაზეთის მხატვართა კავშირის წევრთა რიგებს. და დღეს უმაღლესი სასწავლებლის ნამოწაფარნი მათ უმრავლესობას შეადგენენ.

აკადემია სიამოვნებით უთმობს ადგილებს ავტონომიურ რესპუბლიკიდან ჩამოსულ ნიჭიერ ახალგაზრდებს. მაგალითად, წელს, სხვადასხვა ფაკულტეტსა და განყოფილებაზე ჩაირიცხა ხუთი აბიტურიენტი აფხაზეთიდან. ეს — ეგრეთ წოდებული ლიმიტით, ხოლო სოხუმის სპეციალური სამხატვრო სასწავლებლის კურსდამთავრებულმა დიანა ვოუბამ წარმატებით გაიარა საერთო კონკურსი. სხვათა შორის, სოხუმის სპეციალურ სამხატვრო სასწავლებელთან აკადემიას მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებს. ქართველი მხატვრები მეთოდიკურ და პრაქტიკულ დახმარებას უწევენ აფხაზ კოლეგებს, ეტარებენ კონსულტაციებს. სასწავლებლის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ, როგორც წესი, აკადემიის ერთ-ერთი პროფესორი ინიშნება ხოლმე.

ჩვენი სამშობლოს, საზღვრების დამცველები თაობიდან თაობას გადასცემენ სახელოვანი საბრძოლო და ჩეკისტური ტრადიციების ესტაფეტას. მაგრამ, ალბათ, სასაზღვრო ჯარების ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი ტრადიციაა მათი განუყრელი კავშირი მასებთან — საზღვარს მთელი საბჭოთა ხალხი იცავს.

სასაზღვრო რაიონების მშრომელთა, კომკავშირელთა, პიონერთა და მოსწავლეთა დიდი მეგობრობა, ერთობლივი შესანიშნავი საქმეებია სახელმწიფო საზღვრის საიმედო დაცვის უზრუნველყოფაში. ხელოვაჩაურის რაიონის მცხოვრებთა და მესაზღვრე მეომართა ურთიერთობა მარტო მეგობრული რიდია, იგი დიდი ხანია სერიოზულ ერთობლივ სახელმწიფოებრივ საქმედ იქცა. და ამიტომაც არის, რომ სასაზღვრო რაიონის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკების უმრავლესობისათვის, ხელვაჩაურის ასობით მუშის, კოლმეურნისა და ახალგაზრდისათვის ეს ურთიერთობა მშობლიური და ღვიძლი გახდა.

უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო დროს რაიონის პარტიული ორგანიზაციებისა და სასაზღვრო ჯარების ერთობლივ მუშაობაში შემუშავდა გარკვეული სისტემა, რომელიც ზუსტი საგეგმო ხასიათისაა. მუშაობის გეგმებს ადგენენ ერთი წლის პერსპექტივით, ამტკიცებენ ერთობლივ სხდომებსა და პარტიული ბიუროს კრებებზე.

ქვეყნის საზღვრების დაცვაში ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის საკითხი არაერთხელ ყოფილა განხილული პარტიის რაიკომის პლენუმებსა და სხდომებზე. პრაქტიკაში სხვადასხვა ფორმით ინერგება პარტიულ ორგანიზაციათა მდივნების მუშაობის გამოცდილების გაზიარება.

საზღვრის დაცვაში მოქმედების კოორდინაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების რაიონული შტაბი, რომელსაც ავთანდილ დიასამიძე მეთაურობს. რაიონული შტაბი ხელმძღვანელობს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მუშაობას, ეწევა მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდათა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას.

ცხოვრება და შეძენილი გამოცდილება ნებაყოფლობითს სახალხო რაზმეულებს დაეხმარა უფრო ზუსტად და ქმედითად აავონ თავიანთი მუშაობა. ეწყობა კვალიფიციური მეცადინეობანი, მათ უკითხავენ ლექციებს, მოხსენებებს. მეტ წილ რაზმეულებში კარგად არის მოწყობილი სტენდები, რაზმეულის კუთხეები, რომლებზეც გამოკრულია დოკუმენტების ნიმუშები, დებულება სახელმწიფო საზღვრის დაცვის შესახებ, რაიაღმასკომის დადგენილებანი და სხვა საკანონმდებლო აქტები.

პარტიული კომიტეტები, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულის რაიონული შტაბი დღენიადაგ ზრუნავენ ამ რაზმეულების ორგანიზაციული განმტკიცებისათვის. რაზმელთა შორის ნახევარზე მეტი კომუნისტი და კომკავშირელი, შრომის მოწინავეა და ორდენოსანია.

მებრძოლ კოლექტივად არის ცნობილი რაზმეული, რომელსაც სათავეში ნაზიმ მიქელაძე უდგას. მისი წევრები აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფო საზღვრის დაცვაში. ბევრჯერ დაუჭერიათ სახელმწიფო საზღვრის დამრღვევები. მაგალითად, ზ. ღოღობერიძე და ვ. ბლაგიძე, რომლებიც სოფლის განაპირას, უცნობს შეხვდნენ, არ დაბნეულან, საბუთები შეუმოწმეს და დააკავეს. რაიონში ფართოდ არის აკადემიის კურსდამთავრებულნი ყოველწლიურად ემატებიან აფხაზეთის მხატვართა კავშირის წევრთა რიგებს. და დღეს უმაღლესი სასწავლებლის ნამოწაფარნი მათ უმრავლესობას შეადგენენ.

აკადემია სიამოვნებით უთმობს ადგილებს ავტონომიურ რესპუბლიკიდან ჩამოსულ ნიჭიერ ახალგაზრდებს. მაგალითად, წელს, სხვადასხვა ფაკულტეტსა და განყოფილებაზე ჩაირიცხა ხუთი აბიტურიენტი აფხაზეთიდან. ეს — ეგრეთ წოდებული ლიმიტით,

საგზვარს ხალხი იცავს

საბრძოლო ცაფზე

ცნობილი აქტიური რაზმელი მარიამ თანდილავა, რეზო წითელაძე, კირილე ბერაძე, თემურ გოგიძე. მათ სასაზღვრო საგუშაგოებთან მუშაობის საინტერესო გამოცდილება აქვთ შეძენილი. რეგულარულად ეწყობა კრებები, რომლებიც ეძღვნება პოლიტიკური სიფხიზლის ამაღლების საკითხებს. რაზმელები, ახალგაზრდობა მეომართა ხშირი სტუმრები არიან. ტრადიციად იქცა გმირთა ხსოვნის დღეების, თემატური საღამოების, სიფხიზლის რეიდების მოწყობა.

ლექცია-მოხსენებების, საუბრების, რეგულარული გამოსვლების დროს მესაზღვრე ოფიცრები სასაზღვრო სოფლების მშრომელებს, რაიონის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკები კი მესაზღვრეებს ფართოდ განუმარტავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, საზღვარზე შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას, თანამედროვე პირობებში მისი დაცვის გაზრდილ მნიშვნელობას, აცნობენ ხელვაჩაურის რაიონის წარსულსა და მომავალს. ამ მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა აგრეთვე სასაზღვრო ჯარების ისტორიისა და საბრძოლო ტრადიციების პროპაგანდას.

ადგილობრივი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დიდად ზრუნავენ სახელმწიფო საზღვრის სიინჟინრო-ტექნიკური მოწყობილობის გაძლიერებისათვის, სასაზღვრო საგუშაგოების უბნების კეთილმოწყობისათვის. ამ მიზნით ყოველწლიურად ეწყობა სპეციალური ერთთვიური დღეიზეთი: „სახელმწიფო საზღვარზე — ხახელმწიფო წესრიგი“, შაბათობები, კვირაობები, საზღვრის კომკავშირულ-ახალგაზრდული დღე.

ტრადიციად იქცა ის, რომ საზღვრისპირა სოფლების ადგილობრივი მოსახლეობა მესაზღვრეებთან ერთად აღნიშნავს ხოლმე რევოლუციურ თარიღებს, მესაზღვრის დღეს. აჯამებენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და საგუშაგოების სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს, იღებენ შემსვედრ სოციალისტურ ვალდებულებებს მორიგი ეტაპისათვის.

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის შედეგებით ხელვაჩაურის რაიონული შტაბი დამსახურებულად დაჯილდოდად ამიერკავკასიის წითელროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების სამხედრო საბჭოს გარდამავალი წითელი დროშით. ამ ბოლო ორი წლის მანძილზე საზღვრის გუშაგებისადმი აქტიური დახმარებისათვის რაიონის 120-ზე მეტი მცხოვრები და რაზმელი დაჯილდოვდა მთავრობის ჯილდოებით, ფასიანი საჩუქრებით, სამკერდე ნიშნებითა და სიგელებით. ბევრს მიღებული აქვს მედალი „სსრკ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვაზე წარჩინებისათვის“. მათ შორის არიან პარტიის ვეტერანი, პერსონალური პენსიონერი ვ. კირკილაძე, კოლმეურნეობის ბრიგადირი მ. მიქელაძე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. ცინცაძე და სხვ.

ადგილობრივი მოსახლეობისა და მეომრების მეგობრული და საქმიანი კავშირურთიერთობა გამსჭვალულია პატრიოტიზმითა და სამშობლოს წმიდათაწმიდა საზღვრების უშიშროებისათვის ზრუნვით. და თუ დღეს მესაზღვრეები თავიანთ უცვლელ ვახტზე დგანან პირველ საბრძოლო ხაზზე, მეორე ხაზზეა სასაზღვრო სოფლების ყველა მცხოვრები.

კაპიტანი **ვ. იზვეკოვი.**

ისევ თოფის ლულაში ჩამალულ ეშმაკზე

ტყვია სათამაშოდ?!

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღესაც კი ზუგდიდში ავარიის ან სხვა უნებლიე უბედური შემთხვევის დროს დაღუპულის მშობლები და ნათესავები დაეცემიან ხოლმე „მოწინააღმდეგის“ ოჯახს და თუ სისხლის აღება ვერ მოახერხეს, სახლკარს ნასახლარად უქცევენ. შინაგან საქმეთა განყოფილებას დიდი ჯაფა აწევს ამ დროს, რათა დანაშაულს კიდევ ახალი დანაშაული არ მოჰყვეს...

ამ წერილს ასეთი უსიამოვნო შესავლით იმიტომ ვიწყებთ, რომ რაიონში კვლავ მრავლად არის უნებართვოდ თოფის ტარების და შენახვის ფაქტები, რაც ხშირად უბედურების მიზეზია. ბევრმა დღემდე ვერ გამოიტანა საჭირო დასკვნები, თუ რა საბედისწერო შედეგი მოსდევს ცეცხლსასროლი იარაღის უნებართვოდ და რეგისტრირებული იარაღის უყურადღებოდ შენახვას, რაც ხშირად არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის დანაშაულის ერთ-ერთი მიზეზი ხდება.

ზუგდიდის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსმა ინსპექტორმა ო. ფიფიამ ასეთი ცნობები მოგვაწოდა: შარშან რაიონის სოფლებში სხვადასხვა პირთ ჩამოერთვათ 86 ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის 71 სანადირო თოფი, 3 მცირეკალიბრიანი შაშხანა, 6 რევოლვერი და 6 ხანჯალი. მართალია, ბევრი მათგანი არასწორად შენახვისათვის ჩამოერთვათ, მაგრამ მეტი წილი საერთოდ არ იყო აღრიცხული.

ნარაზენში მცხოვრებმა გოჩა შულაიამ 12 წლის მოსწავლემ, გაიტანა შინდან მამის მიერ უყურადღებოდ მიტოვებული სანადირო თოფი და ჩატებზე ნადირობა დაიწყო. ამას ხომ შეიძლებოდა უბედური შემთხვევა მოჰყოლოდა, ორგანოს მუშაკებს დროზე რომ არ შეენიშნათ, თოფის პატრონი დაჯარიმდა და იარაღიც ჩამოერთვა.

ზედა ეწერში მცხოვრებმა ა. გვირგვლიანმა კარის მეზობელ რ. გვიჩიანს სანადირო თოფი ესროლა და იღლად მსუბუქად დაჭრა. და ყველაფერი ეს მოხდა იოლად მოსაგვარებელი მეზობლური დავის გამო.

ნაგანის სისტემის იარაღი ჩამოერთვათ ზუგდიდელ ზ. კვინჩიასა და ი. თოლორაიას, ცაიშელ ვ. ქირიას, ჭითაწყაილელ გ. ოზორიას, ენგურჩეხილის დასახლებაში მცხოვრებ გ. რურუას. ყოველი მათგანი საკადრისად დაისაჯა და დღემდე იხდის სასჯელს.

მართალია, განხორციელებული პროფილაქტიკურ-აღმზრდელ ლონიერ ღონისძიებების შედეგად წინა წლებთან შედარებით წლეულს მნიშვნელოვნად შემცირდა უბედური შემთხვევები, მაგრამ ეს როდი გვაძლევს თვითდამშვიდების უფლებას.

შინაგან საქმეთა რაიონულმა განყოფილებამ (უფროსი ჯ. გაფრინდაშვილი) მომდინარე წლის 7 თვეში აქტიზე ფართო დაყრდნობით რამდენჯერმე მოაწყო საზოგადოებრივი რეიდი და იარაღის უნებართვოდ შენახვის ბევრი ფაქტიც გამოავლინა.

სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა ჯიხაშკარელი თ. ბენდელიანი, რომელსაც სხვა დანაშაულის გამო ოჯახის ჩხრეკის დროს საზღვარგარეთული მარკის რევოლვერი აღმოაჩნდა.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ რაიონული განყოფილებისა და აქტივის მონაწილეობით მომდინარე წლის 2-6 აგვისტოს რაიონის ტერიტორიაზე მოაწყო ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიება. რეიდების დროს სხვადასხვაგვარ დარღვევებთან ერთად კვლავ გამოვლინდა სანადირო თოფების უნებართვოდ შენახვის ან ტარების ფაქტები. სხვადასხვა პირებს ჩამოერთვათ 45 სანადირო თოფი (აქედან ნებაყოფლობით ჩააბარეს 11) და 3 ცალი სხვა იარაღი.

აღურიცხავი იარაღი აღმოჩნდა კახათში, რიყეში, ნარაზენში, ახალსოფელში, გრიგოლიაში. აღსანიშნავია, რომ გრიგოლიაში მარტო ხუთ ოჯახს აქვს რეგისტრირებული სანადირო თოფი. რეიდის დროს აღმოჩნდა, რომ ვ. როგავას, ა. ფოფხაძეს, მ. ჭუტულუნიას და კ. გულუას რეგისტრაციაში არ ჰქონიათ გატარებული სანადირო თოფები. ნუთუ სოფლის თავკაცებმა ეს არ იცოდნენ?

ეს წერილი გვინდა დავამთავროთ ერთი მეტად სამწუხარო შემთხვევით, რომელიც წლეულს 17 ივლისს დღისით-მზისით მოხდა ჭაქინჯეული კოლმეურნის ჯიქიას ოჯახში. ვიცით, რომ გულმოკლეული მშობლებისათვის მძიმეა ამ ტრაგედიის კვლავ გახსენება, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ჩაფიქრებს მათ, ვისაც ახლა სახლში უნებართვოდ ან უყურადღებოდ მიტოვებული სხვადასხვაგვარი იარაღი აქვს.

შემთხვევის დღეს, 14 საათზე თოფის გასროლამ კ. ჯიქიას მეზობლები ფეხზე დააყენა. მეზობლის სახლს მიაშურეს და თვალწინ სახარელი სურათი დაინახეს — 5 წლის დემნა ჯიქია ოდა-სახლის იატაკზე სიკვდილს ებრძოდა. ბავშვის გადასარჩენად რა არ იღონეს, მაგრამ ამაოდ. პატარა დემნა მისივე ძმის 9 წლის ბიჭუნას შემთხვევით გასროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა.

მიზეზი? ცხადია, უმეთვალყურეოდ კედელზე ჩამოკიდებული ერთლულიანი სანადირო თოფი და იქვე უჯრაში დაუდევრად ჩაყრილი ვაზნები.

ვფიქრობთ, საკმაოდ შემაფოთებელი ფაქტია საჭირო დასკვნების გამოსატანად. მაშ მოდით, ნუ დავაყოვნებთ!

გ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ქ. ზუგდიდი.



ტურისტულ ბილიკებს მივყევართ

ათობით ტურისტული მარშრუტი გადის აფხაზეთზე, ერთ-ერთი მათგანი ჩრდილოეთ კავკასიის მხრიდან გადის აუადხარას ხეობაზე, რიწის ტბაზე და შემდეგ სოხუმსა და თბილისზე.

ჩვენი ფოტოკორესპონდენტი ი. ბოხორელიძე ამ მარშრუტის ალპური ზონის რაიონში აუადხარას მისადგომებთან შეხვდა ტურისტთა ჯგუფს კალინინგრადიდან. მათ რამდენიმე საათის შესვენების შემდეგ მარშრუტით განაგრძეს გზა.

სურათზე: ტურისტები შესვენების დროს.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ოლიმპიადისწინა მოსკოვი:

საბოლოო ეტაპი

16 აგვისტოს მოსკოვში გაიმართა „ოლიმპიადა-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტის გაფართოებული სხდომა, რომელზეც განხილეს შესაბამისი სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების ამოცანები 22-ე ოლიმპიური ასპარეზობისათვის მზადების საბოლოო ეტაპზე.

სხდომაზე გამოვიდნენ „ოლიმპიადა-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. ტ. ნოვიკოვი, მოსკოვის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარე ვ. თ. პრომისლოვი და სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ს. პ. პავლოვი.

მიღებულია გადაწყვეტილება, რომ „ოლიმპიადა-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტმა, შესაბამისმა სამინისტროებმა, უწყებებმა და ორგანიზაციებმა კიდევ უფრო გააუმჯობესონ საქმიანობა მოსკოვის 22-ე საზაფხულო ოლიმპიური ასპარეზობისათვის მზადების საბოლოო ეტაპზე. (საკდესი).

მერვე ფრე

დონის როსტოვი, 17 აგვისტო. (ტელეფონით). დღეს აქ გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეოცე ტურის მატჩი ადგილობრივ არმიელთა კოლექტივსა და თბილისის „დინამოს“ შორის. თამაშის დაწყებიდან მეექვსე წუთზე თბილისელები დაჯარიმდნენ და როსტოველმა ანდრეევმა დაახლოებით 17 მეტრიდან გახსნა ანგარიში. თერთმეტი წუთის შემდეგ ჭილაიამ წამოიწყო სოლო რეიდი, სამი მოთამაშე უკან ჩამოიტოვა, ბურთი გადასცა ყიფიანს, რომელმაც გადააწყოდა დარაელიას და ამ უკანასკნელმა წონასწორობა აღადგინა.

საერთოდ მთელი მატჩი როსტოველთა ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა. მატჩის შემყურე სპეციალისტები შენიშნავდნენ, რომ წლევანდელ სეზონში ეს შეხვედრა როსტოველთათვის საუკეთესოაო. დინამოელებმა თამაშის ძირითადად კონტრერეიშებზე ააგეს და საკმაოდ მწვავედაც. საბოლოოდ ფრე, რომელმაც თბილისელებს მხოლოდ ერთი ქულა მოუტანა და ფრეთა ლიმიტიც ამოწურა. როსტოველებმა ვერაფერი შეიძინეს, ვინაიდან ეს ფრე მათთვის არათუ მეცხრე, უკვე მეთერთმეტეა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მეკარე გაბელია, რომელმაც არაერთხელ იხსნა საკუთარი კარი აშკარა გოლისაგან.

„დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, გ. მაჩაიძე, ჩიკვაძე, სულაქველიძე, ჭილაია, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია (კაკილაშვილი).

დუბლიორთა მატჩი მოიგეს არმიელებმა — 1:0. აღსანიშნავია, რომ ტრაკვმის გამო, ერთ წელზე მეტი შესვენების შემდეგ პირველად ითამაშა ი. რუხაძემ.

ჯ. ხუხაშვილი.

სხვა მატჩები

გთავაზობთ უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეოცე ტურის სხვა მატჩების შედეგებს:

„დინამო“ (მნ.)—„ზენიტი“ — 3:1.
„მახტაორი“-„ჩერნომორი“. — 1:1.
„ტორპედო“-„ცსკა — 1:2.
„კრ. სოვეტ.“-„დინამო“ (კ.)—0:1.

გკთამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 აგვისტოსათვის

	მ	ფ	წ	ბ	ქ
„მაახტიორი“	12	7	1	31-11	31
„დინამო“ (კ)	13	4	3	27-11	30
„დინამო“ (თბ)	11	8	1	30-11	30
„სპარტაკი“	10	6	3	25-14	26
„დინამო“ (მ)	10	4	5	21-12	24
„დინამო“ (მნ)	9	4	6	24-17	22
„ზენიტი“	8	4	8	25-27	20
„ცსკა	8	3	9	27-24	19
„ფახთაკორი“	7	4	7	23-26	18
„არარატი“	5	10	4	21-17	18
„ჩერნომორ.“	4	8	8	15-20	16
„ტორპედო“	5	5	10	17-25	15
„ლოკომოტ.“	4	7	8	23-24	15
„ყაირათი“	5	3	11	19-30	13
„კრ. სოვეტ.“	5	2	13	12-30	12
„ზარია“	3	6	10	21-32	12
„ნეფტჩი“	3	6	10	10-25	12
ასკ	2	11	7	20-35	12

რედაქტორის მოადგილე
გ. გოგიაშვილი.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

20 აგვისტო

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — საგელვეზიო მხატვრული ფილმი „ჩრდილები შუადღისას ქრებიან“ (პირველი სერია), 16.30 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.05 — „ბავშვის საერთაშორისო წელი“ — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სათვალიანი ბიჭუნა“. (ფ.). 18.05 — ბავშვებისათვის სპექტაკლი „შავლეგა ციკანი“ (ფ.), 18.45 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.15 — „ვერნისაჟი“, 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30—„ქართული ფილმი“ საუბილეო კინოჩვენება მხატვრული ფილმი „მაია წყნეთელი“. 21.55 — მუსიკალური შესვენება, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — რუსული მუსიკის საგანძურიდან — ჰ. ჩაიკოვსკი.

მეორე პროგრამით: 17.35 — „ჩვენს დიდ სამშობლოში“ — დოკუმენტური ფილმი — „სიცოცხლის დაბრუნება“, 18.10 — „მელრიან ბედოგეგები“ — რუსთავის საგუნდო სასწავლო გუნდი, 18.25 — საგელვეზიო მხატვრული ფილმი „უგრიუმ-მდინარე“. (პირველი სერია).

21 აგვისტო

პირველი პროგრამით: 09.00— „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — საგელვეზიო მხატვრული ფილმი „ჩრდილები შუადღისას ქრებიან“ — (მეორე სერია), 16.30 — საგელვეზიო მუსიკალური ფილმი, 17.05 — „ბავშვის საერთაშორისო წელი“ — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბაზიუნაბავი“, 18.05 — მუსიკალური სპექტაკლი „ბურატინო“ (ანსამბლ „მზიურის“ შესრულებით), 18.55 — „ჩვენი რეიდი“, 19.20 — მეცნიერების საშაყარში, — 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — საგელვეზიო სპექტაკლი „ბურატინო“ (ანსამბლ „მზიურის“ შესრულებით), 21.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — საგელვეზიო ფილმ